

Etenders.ge

შესყიდვებისა და გაყიდვების სისტემის
მართვის ინსტრუქცია

სარჩევი

1.	სისტემაში რეგისტრაცია და ავტომატური შეტყობინებების აქტივაცია	3
1.1	რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ ავტორიზაციის კოდის აღდგენა	7
2.	რეგისტრირებული მომხმარებლის პროფილის მართვა.....	8
3.	სისტემაში ძებნა.....	10
3.1	განცხადებების მოძებნა რომლებიც გამოცხადებულია ჩემს მიერ ან რომლებშიც მონაწილეობა მაქვს მიღებული	12
3.2	განცხადების რჩეულებში დამატება	12
4.	სისტემური დახმარებები.....	13
5.	განცხადების დეტალების გვერდი.....	14
6.	შესყიდვების ტენდერების მიმდინარეობის სტატუსები	15
6.1	რეალიზაციის ტენდერების მიმდინარეობის სტატუსები.....	16
7.	შესყიდვის ტენდერების ტიპები და გამოცხადების ინსტრუქცია.....	18
7.1	განცხადება.....	20
7.2	რევერსული აუქციონი	22
7.3	ტენდერი ერთი კონვერტის პრინციპით.....	25
7.4	ტენდერი ორი კონვერტის პრინციპით	28
7.5	პრეკვალიფიკაცია.....	31
7.6	შეზღუდული პროცედურა.....	34
7.7	ანონიმური ტენდერი.....	36
8.	რეალიზაციის ტიპები და გამოცხადების ინსტრუქცია	37
8.1	განცხადება რეალიზაციაზე	38
8.2	რეალიზაციის აუქციონი.....	40
8.3	რეალიზაცია აუქციონის გარეშე.....	44
8.4	შეზღუდული პროცედურა.....	46
8.5	ანონიმური განაცხადი.....	48
9.	გამოცხადებული შესყიდვის და რეალიზაციის რედაქტირება	49
10.	გამოცხადებული შესყიდვის და რეალიზაციის შეწყვეტა.....	52

11.	მონაწილეობის მიღება ელექტრონულ ტენდერში.....	52
11.1	სატენდერო წინადადების წარდგენის საფასურის გადახდა.....	53
11.2	სატენდერო წინადადების წარდგენა რევერსულ აუქციონში	53
11.2.1	ფასის კლება რევერსულ აუქციონში.....	55
11.3	სატენდერო წინადადების წარდგენა ერთი კონვერტის პრინციპის ტიპის ტენდერში..	56
11.4	სატენდერო წინადადების წარდგენა ორი კონვერტის ტიპის პრინციპის ტენდერში	57
11.5	წინადადების წარდგენა პრეკვალიფიკაციაში	58
12.	შეთავაზების წარდგენა ელექტრონულ რეალიზაციაში	59
12.1	შეთავაზების წარდგენის საფასურის გადახდა რეალიზაციის აუქციონში	60
12.2	შეთავაზების წარდგენა რეალიზაციის აუქციონში.....	60
12.2.1	ვაჭრობა აუქციონში	61
12.3	შეთავაზების წარდგენა რეალიზაციაში აუქციონის გარეშე	62
13.	შეთავაზების რედაქტირება.....	63
14.	შეთავაზების გაუქმება.....	65
15.	კითხვა/პასუხის მოდული - ტენდერის დეტალების დაზუსტება	65
16.	შესყიდვისა და რეალიზაციის შედეგების ნახვა გამომცხადებლის მიერ.....	67
17.	შემსყიდველის ან რეალიზატორის მიერ წინადადების დაზუსტების მოთხოვნა სისტემის მეშვეობით	70
17.1	პრეტენდენტის მიერ დოკუმენტაციის დაზუსტება სისტემის მეშვეობით.....	74
18.	ტარიფები.....	77
19.	სისტემის თავსებადობა ინტერნეტ „ბრაუზერებთან“	77

1. სისტემაში რეგისტრაცია და ავტომატური შეტყობინებების აქტივაცია

Etenders.ge-ზე ტენდერის (იგულისხმება როგორც შესყიდვის ტენდერები ასევე რეალიზაციის ტენდერები) გამოცხადებისთვის და/ან ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, თქვენ, პირველრიგში უნდა გაიაროთ [რეგისტრაცია ვებ-საიტზე](#). რეგისტრაციის პროცესი მარტივია და იგი სრულიად უფასოა.

რეგისტრაციის გასაწველად მიიტანეთ მაუსის კურსორი ვებ-საიტის მთავარი გვერდის ზედა, მარჯვენა კუთხეში განთავსებულ „შესვლა“ ღილაკზე და ჩამოშლილი დროფდაუნ მენიუდან დააჭირეთ „რეგისტრაციას“ (იხ. სურათი №1).

სურათი №1



ღილაკზე დაჭერის შედეგად ეკრანზე გამოვა [სარეგისტრაციო ფორმა](#) შემდეგი შესავსები ველებით:

- *ორგანიზაცია/სახელი* - უნდა მიეთითოს თქვენი ორგანიზაციის დასახელება, ან ინივიდუალური მეწარმის, ფიზიკური პირის სახელი და გვარი;
- *საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი* - აღნიშნულ ველში ეთითება ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი, ან ინივიდუალური მეწარმის, ფიზიკური პირის პირადი ნომერი;
- *სამართლებრივი ფორმა*;
- *ქვეყანა*;
- *მისამართი*;
- *მობილურის ნომერი*;
- *ელ. ფოსტა* - მითითებული ელ. ფოსტის მეშვეობით ხორციელდება ავტორიზაცია საიტზე და პაროლის დაკარგვის შემთხვევაში, მისი აღდგენა. გარდა ამისა, ელ. ფოსტაზე განხორციელდება ოფიციალური მიმოწერა ვებ-საიტის მხრიდან და ასევე, სურვილის შემთხვევაში, თქვენ შეგეძლებათ მიიღოთ ავტომატური შეტყობინებები თქვენთვის საინტერესო ტენდერების გამოცხადების შესახებ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გთხოვთ, ჩაწეროთ აქტიური ელ. ფოსტის მისამართი;
- *ვებ-საიტი*;

- პაროლი;
- პაროლი ხელმეორედ.

სისტემას აქვს ავტომატური შეტყობინებების ფუნქცია, რაც ნიშნავს იმას, რომ რეგისტრირებულ მომხმარებელს შეუძლია მიიღოს ავტომატური შეტყობინებები მისთვის საინტერესო ტენდერის გამოცხადებისთანავე ელ. ფოსტაზე. ავტომატური შეტყობინებების მისაღებად, უნდა მონიშნოთ თქვენთვის საინტერესო CPV კოდები და მიუთითოთ ე.წ. საკვანძო სიტყვები (იხ. სურათები №2 და №3), რაც ხორციელდება როგორც რეგისტრაციის გვერდიდან, ისე, რეგისტრირებული მომხმარებლის პროფილიდან.

სურათი №2

საკვანძო სიტყვები (შესყიდვებისთვის):

გთხოვთ ჩამოწეროთ სიტყვები, რაზეც გსურთ შეტყობინებების დაყენება. სიტყვები შესაძლოა იყოს გამოყოფილი Enter-ებით, მძიმეებით ან "პრობელებით". თქვენ მოგივიათ შეტყობინება, როგორც კი გამოცხადდება **ტენდერი**, რომელიც შეიცავს ჩამოთვლილი სიტყვებიდან ერთ-ერთს.

ტანსაცმელი, ფეხსაცმელი

სურათი №3

ტენდერების CPV-ები		
<input type="checkbox"/>	CPV	დასახელება
<input type="checkbox"/>	16400000	შესაწამლი მანქანები სოფლის მეურნეობის ან მებაღეობისათვის
<input type="checkbox"/>	16500000	ავტომტვირთველი ან თვითმცლელი ტრაილერები და ნახევარტრაილერები სოფ.
<input type="checkbox"/>	16600000	სპეციალიზებული სასოფლო სამეურნეო ან სატყეო დანიშნულების მანქანა დან.
<input type="checkbox"/>	16700000	ტრაქტორები
<input type="checkbox"/>	16800000	სასოფლო სამეურნეო და სატყეო დანიშნულების მანქანა დანადგარების ნაწილე
<input checked="" type="checkbox"/>	18100000	სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები
<input checked="" type="checkbox"/>	18200000	გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი
<input checked="" type="checkbox"/>	18300000	ტანსაცმელი
<input checked="" type="checkbox"/>	18400000	სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები
<input type="checkbox"/>	18500000	სამკაულები, საათები და მონათესავე ნივთები
<input type="checkbox"/>	18600000	ბეწვეული და ბეწვეულის ნივთები
<input type="checkbox"/>	18800000	ფეხსაცმელი
<input type="checkbox"/>	18900000	საბარჯო ნივთები, სასარაჯო ნაკეთობები, ტომრები და ჩანთები
<input type="checkbox"/>	19100000	ტყავი
<input type="checkbox"/>	19200000	საფეიქრო ნაწარმი და დაკავშირებული ნივთები


სასურველი CPV კოდის მოძიება ჩამონათვალში შესაძლებელია საძიებო სიტყვის მითითებით. მაგ: თუ CPV კოდების საძიებო ველში მივუთითებთ „ტანსაცმელი“ სისტემა გამოიტანს ყველა იმ CPV კოდს, რომლის სახელშიც ურევია სიტყვა „ტანსაცმელი“ (იხ. სურათი №4). კოდების მონიშვნის შედეგად თქვენ მიიღებთ შეტყობინებას როგორც კი გამოცხდდება შესაბამისი CPV კოდის შემცველი განცხადება, ტენდერი ან/და რეალიზაცია.

სურათი №4

ტენდერების CPV-ები		
<input type="checkbox"/>	CPV	დასახელება
		ტანსაცმელი
<input type="checkbox"/>	18100000	სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები
<input type="checkbox"/>	18200000	გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი
<input type="checkbox"/>	18300000	ტანსაცმელი
<input type="checkbox"/>	18400000	სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები

რეგისტრაციის ეტაპზე ასევე, შეგიძლიათ სისტემაში ატვირთოთ თქვენი კომპანიის ლოგო. ამისათვის უნდა დააჭიროთ „Browse“ ღილაკს, მონიშნოთ ასატვირთი ლოგო და დააჭიროთ ღილაკს - „ატვირთვა“ (იხ. სურათი №5).

სურათი №5




რეგისტრაციის ველების შევსების შემდეგ უნდა გაეცნოთ და დაეთანხმოთ ვებ-საიტის მოხმარების პირობებსა და წესებს. წესების სანახავად უნდა დააჭიროთ ტექსტურ ღილაკს - „შეთანხმების წესები“ და შემდეგ მონიშნოთ დაადასტუროთ თქვენი თანხმობა (იხ. სურათი №6).


სურათი №6

გავეცანი და ვეთანხმები **შეთანხმების წესებს**

რეგისტრაციის დასარულეზლად შესაბამის ველში უნდა აკრიფოთ უსაფრთხოების კოდი და დააჭიროთ ღილაკს - „რეგისტრაცია“ (იხ. სურათი №7).

სურათი №7



იმ შემთხვევაში, თუ უსაფრთხოების კოდი რთულად გასარჩევია, შესაძლებელია მისი ახლიდან გენერირება  ღილაკზე დაჭერით.

1.1 რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ ავტორიზაციის კოდის აღდგენა


იმ შემთხვევაში, თუ არ გახსოვთ, თქვენს მიერ სისტემაში რეგისტრაციისას მითითებულ ავტორიზაციის კოდი, აღსადგენად უნდა შეხვიდეთ [სისტემაში შესვლის გვერდზე](#). ამისათვის მიიტანეთ მაუსის კურსორი ვებ-საიტის მთავარი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში განთავსებულ „შესვლა“ ღილაკზე და ჩამოშლილი (Dropdown) მენიუდან დააჭირეთ ღილაკს - „სისტემაში შესვლა“ (იხ. №8 სურათი).

სურათი №8




სისტემაში შესვლის გვერდზე გადასვლის შემდეგ, უნდა დააჭიროთ ღილაკს - [„დამავიწყდა პაროლი“](#) (იხ. №9 სურათი). შედეგად, გადახვალთ გვერდზე სადაც უთითებთ ელ. ფოსტის მისამართს, რომლითაც დარეგისტრირებული ხართ ვებ-საიტზე (იხ. №10 სურათი). „პაროლის გაგზავნა“ ღილაკზე დაჭერით მომხმარებლის კოდი გამოიგზავნება მითითებულ ელ. ფოსტაზე.

სურათი №9



სურათი №10



2. რეგისტრირებული მომხმარებლის პროფილის მართვა


მომხმარებლის პროფილიდან თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ კომპანიის დასახელება, საკონტაქტო ინფორმაცია, ლოგო, თქვენთვის საინტერესო CPV კოდები, საკვანძო სიტყვები, და ა.შ.

მომხმარებლის პროფილში შესასვლელად თქვენ პირველრიგში უნდა გაიაროთ [ავტორიზაცია ვებ-საიტზე](#), რისთვისაც ვებ-საიტის მთავარ გვერდზე უნდა დააჭიროთ „შესვლა“ ღილაკს (იხ. სურათი №11). ამის შემდეგ, ვებ-საიტის მთავარი გვერდიდან, „ჩემი პროფილი“ ღილაკზე დაჭერით, თქვენ გადახვალთ მომხმარებლის პირად პროფილში (იხ. სურათი №12).

სურათი №11



სურათი №12

მთავარი დეტალები	შესყიდვების CPV კოდები	გაყიდვების CPV კოდები	შესყიდვების საკვანძო სიტყვები	გაყიდვების საკვანძო სი
ორგანიზაციის სახელი*:	Etenders.ge			
საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი*:	405075047			
სამართლებრივი ფორმა*:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)			
ქვეყანა*:	საქართველო			
მისამართი*:	პოლიტკოვსკაიას ქ. 18			
მობილურის ნომერი*:	599200108			
ელ-ფოსტა*:	levan@etenders.ge			
ვებ-გვერდი:	etenders.ge			
პაროლი*:	*****			
გაიმეორეთ პაროლი*:	*****			
ატვირთეთ ლოგო				
logo.jpg	Browse... ატვირთვა			
				
ცვლილებების დამახსოვრება				

პროფილს გააჩნია მენიუ უფრო მეტი დილაკებით, ვიდრე ეს მე-12 სურათში წითლად მონიშნულ სივრცეში ჩანს, შესაბამისად იმისათვის, რომ ნახოთ მენიუს ყველა დილაკი დააჭირეთ ნავიგაციის ისრებს (← →).

- „მთავარი დეტალებიდან“ - შეგიძლიათ შეცვალოთ კომპანიის დასახელება, საკონტაქტო ინფორმაცია, ავტორიზაციის კოდი, ლოგო და ა.შ.
- „შესყიდვის CPV კოდები“ - დილაკით შეძლებთ დაამატოთ ან წაშალოთ თქვენთვის საინტერესო სფეროს შესაბამისი CPV კოდები, რომელთა საშუალებითაც, ელ. ფოსტაზე მოგდით შეტყობინებები თქვენთვის საინტერესო შესყიდვის გამოცხადების შემთხვევაში;
- „გაყიდვების CPV კოდები“ - დილაკით შეძლებთ დაამატოთ ან წაშალოთ თქვენთვის საინტერესო სფეროს შესაბამისი CPV კოდები, რომელთა საშუალებითაც, ელ. ფოსტაზე მოგდით შეტყობინებები თქვენთვის საინტერესო რეალიზაციის განაცხადის გამოცხადების შემთხვევაში;
- „შესყიდვის საკვანძო სიტყვები“ - დილაკით შეგიძლიათ შეცვალოთ ე.წ. საკვანძო სიტყვები, რომელთა საშუალებითაც, ელ. ფოსტაზე მოგდით შეტყობინებები თქვენთვის საინტერესო შესყიდვის გამოცხადების შემთხვევაში;
- „გაყიდვების საკვანძო სიტყვები“ - დილაკით შეგიძლიათ შეცვალოთ ე.წ. საკვანძო სიტყვები, რომელთა საშუალებითაც, ელ. ფოსტაზე მოგდით შეტყობინებები თქვენთვის საინტერესო რეალიზაციის განაცხადის გამოცხადების შემთხვევაში;
- „კომპანია“ - დილაკზე დაჭერით, იხილავთ სხვა მომხმარებლებს თქვენი კომპანიიდან, რომლებიც სისტემაში რეგისტრირებულები არიან იგივე საიდენტიფიკაციო კოდით (იხ. სურათი №13)

სურათი №13

პროფილის მართვა

პროფილის მართვის ინტერფეისი. ნაჩვენებია ნავიგაციის ლენტები: შესყიდვის CPV კოდები, გაყიდვის CPV კოდები, შესყიდვის საკვანძო სიტყვები, გაყიდვის საკვანძო სიტყვები, კომპანია.


პროფილის მართვის ინტერფეისი. ნაჩვენებია ნავიგაციის ლენტები: შესყიდვის CPV კოდები, გაყიდვის CPV კოდები, შესყიდვის საკვანძო სიტყვები, გაყიდვის საკვანძო სიტყვები, კომპანია.

პროფილის მართვის ინტერფეისი. ნაჩვენებია ნავიგაციის ლენტები: შესყიდვის CPV კოდები, გაყიდვის CPV კოდები, შესყიდვის საკვანძო სიტყვები, გაყიდვის საკვანძო სიტყვები, კომპანია.

ორგანიზაცია	ელ-ფოსტა	დამფუძნის ნომერი	რეგისტრაციის თარიღი
Etenders.ge	levan@etenders.ge	599200108	01/02/2016 10:04
Etenders.ge	aleks@etenders.ge	555883838	12/03/2015 06:34

მომხმარებლის პროფილში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, იმისათვის რომ სისტემამ დაიმახსოვროს ცვლილებები, უნდა დააჭიროთ „ცვლილებების დამახსოვრება“ დილაკს. დილაკზე დაჭერის შედეგად, ეკრანის ქვედა მარჯვენა კუთხეში, გამოვა ცვლილებების დამადასტურებელი შეტყობინება (იხ. სურათი №14).




სურათი №14



3. სისტემაში ძებნა



ვებ-საიტის მთავარ გვერდზე განთავსებულია ოცი უახლესი განაცხადი (როგორც შესყიდვის ისე რეალიზაციის ტენდერები). ლილაკების „უახლესი შესყიდვები“ და „უახლესი გაყიდვები“ მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ მხოლოდ უახლესი ოცი შესყიდვის ან უახლესი ოცი რეალიზაციის განაცხადის ჩვენება (იხ. სურათი №15).

სურათი №15

უახლესი 20 განაცხადი	უახლესი შესყიდვები	უახლესი გაყიდვები
 <p>Etenders.ge ტენდერი ავტომანქანების შესყიდვაზე გამოსხადების თარიღი: 05/10/2017 დასრულების თარიღი: 20/10/2017 სტატუსი: წინადადების მიღება დაწყებულია</p>	# 43038 ★ 🔒	
 <p>ანონიმური ტენდერი სხვადსხვა ბოსტნული <input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> 100000.00 გამოსხადების თარიღი: 05/10/2017 დასრულების თარიღი: 05/10/2017 სტატუსი: დასრულებული</p>	# 43039 ★	დეტალურად
 <p>Etenders.ge საოფისე ავეჯი <input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> 250000.00 გამოსხადების თარიღი: 01/10/2017 დასრულების თარიღი: 01/10/2017 სტატუსი: დასრულებული</p>	# 43035 ★	დეტალურად

ყველა განცხადების მოსაძებნად თქვენ უნდა შეხვიდეთ ძებნის მოდულში. შესყიდვების განცხადებების მოსაძებნად უნდა დააჭიროთ „ყველა ტენდერი“ ლილავს, ხოლო რეალიზაციის განცხადებების მოსაძებნად „ყველა განცხადება რეალიზაციაზე“ ლილავს, რომლებიც განთავსებულია ვებ-საიტის მთავარ გვერდზე (იხ. სურათი №16).

სურათი №16

	
ყველა ტენდერი	ყველა განცხადება რეალიზაციაზე
ტენდერის გამოცხადება	გაყიდვის გამოცხადება
უპირატესობები	უპირატესობები
შესყიდვების სისტემის ინსტრუქცია	გაყიდვების სისტემის ინსტრუქცია

აღნიშნულ ლილავებზე დაჭერით ეკრანზე გამოვა სურათი №17-ის მსგავსი ფანჯარა განცხადებების სხვადასხვა საძებნი ფილტრებით.

სურათი №17

ტენდერის ნომერი

საძიებო სიტყვა

CPV კოდი

თანხა

შემსყიდველი

გამოცხადების თარიღი

სტატუსი

შესყიდვის საშუალება



ძიება

თქვენთვის საინტერესო განაცხადის მოსაძებნად უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი ან რამოდენიმე პარამეტრი ერთდროულად და დააჭიროთ „ძებნა“ ღილაკს.

3.1 განცხადებების მოძებნა რომლებიც გამოცხადებულია ჩემს მიერ ან რომლებშიც მონაწილეობა მაქვს მიღებული

იმისათვის, რომ მარტივად მოძებნოთ ის შესყიდვები ან რეალიზაციები, რომლებიც გამოცხადებულია თვენს მიერ ან მონაწილეობა გაქვთ მიღებული, თვენ პირველრიგში უნდა გაიაროთ ავტორიზაცია სისტემაში, რის შემდეგაც ვებ-საიტის მთავარ გვერდზე გამოჩნდება შესაბამისი საძებნი ღილაკები (იხ. სურათი № 18).

სურათი №18

	
<p>მიმდინარე ტენდერები</p> <p>.....</p>	<p>განცხადებები რეალიზაციაზე</p> <p>.....</p>
<p>ტენდერის გამოსხადება</p> <p>.....</p>	<p>გაყიდვის გამოსხადება</p> <p>.....</p>
<p>უპირატესობები</p> <p>.....</p>	<p>უპირატესობები</p> <p>.....</p>
<p>შესყიდვების სისტემის ინსტრუქცია</p> <p>.....</p>	<p>გაყიდვების სისტემის ინსტრუქცია</p> <p>.....</p>
<p>ჩემი რჩეული შესყიდვები</p> <p>.....</p>	<p>ჩემი რჩეული გაყიდვები</p> <p>.....</p>
<p>ჩემი გამოსხადებული შესყიდვები</p> <p>.....</p>	<p>ჩემი გამოსხადებული გაყიდვები</p> <p>.....</p>
<p>მონაწილეობა მაქვს მიღებული</p>	<p>მონაწილეობა მაქვს მიღებული</p>

3.2 განცხადების რჩეულებში დამატება

იმისათვის, რომ ჩაინიშნოთ და შემდგომში მარტივად მოიძიოთ თქვენთვის საინტერესო განაცხადი, სისტემა საშუალებას გაძლევთ განცხადებები დამატოთ თქვენს „რჩეულებში“. განცხადების „რჩეულებში“ დასამატებლად თქვენ გავლილი უნდა გქონდეთ ავტორიზაცია სისტემაში, რის შემდეგაც შეგეძლებათ მონიშნოთ „ვარსკვლავი“ შესაბამის განცხადებაში (იხ. სურათი №19).

სურათი №19



Etenders.ge

საოფისე ავიატი

43035





250000.00

გამოცხადების თარიღი: 01/10/2017
დასრულების თარიღი: 01/10/2017
სტატუსი: დასრულებული

დეტალურად


„რჩეულებში“ დამატებული განცხადებების მოძებნა ხორციელდება მთავარ გვერდზე განთავსებული „ჩემი რჩეული შესყიდვები“ ან/და „ჩემი რჩეული გაყიდვები“ ლილაკების გამოყენებით (იხ. სურათი №20).

სურათი №20

 <p>შესყიდვები CUT COSTS WITH E-PROCUREMENT</p>	 <p>გაყიდვები BE SMART IN SALES</p>
ყველა ტენდერი	ყველა განცხადება რეალიზაციამდე
ტენდერის გამოცხადება	გაყიდვის გამოცხადება
უპირატესობები	უპირატესობები
შესყიდვების სისტემის ინსტრუქციები	გაყიდვების სისტემის ინსტრუქციები
ჩემი რჩეული შესყიდვები	ჩემი რჩეული გაყიდვები
ჩემი გამოცხადებული შესყიდვები	ჩემი გამოცხადებული გაყიდვები
მონაწილეობა მაქვს მიღებული	მონაწილეობა მაქვს მიღებული






4. სისტემური დახმარებები

ვებ-საიტზე არსებულ სხვადასხვა ფუნქციებსა და ლილაკებს გააჩნია შესაბამისი განმარტებები. განმარტების სანახავად უნდა დააჭიროთ შესაბამისი ფუნქციის ან ლილაკის

გასწვრივ განთავსებულ კითხვის ნიშანს  , რის შემდეგაც ეკრანზე გამოვა ფანჯარა შესაბამისი ფუნქციისა თუ ღილაკის აღწერით. მაგალითი მოცემულია №21 სურათზე.

სურათი №21

შესყიდვის გამოცხადება

- განცხადება 
- რევერსული აუქციონი 
- 1 კონვერტის პრინციპი 
- 2 კონვერტის პრინციპი 
- პრეკვალიფიკაცია 

5. განცხადების დეტალების გვერდი

ნებისმიერი ტიპის შესყიდვისა და რეალიზაციის განცხადების დეტალების გვერდზე მოცემულია ინფორმაცია როგორც შესყიდვის ან სარეალიზაციო ობიექტის შესახებ, ასევე, გამომცხადებლის ვინაობის, განცხადების მიმდინარე სტატუსის, მიმდინარეობის ვადების, განცხადების ტიპის, მიწოდების ადგილის, ღირებულებისა და განცხადებასთან დაკავშირებული სხვა დამატებითი ინფორმაციის შესახებ. განცხადების დეტალების გვერდის მაგალითი მოცემულია №22 სურათზე.

სურათი №22

განცხადების ნომერი : 43075


ნახვების რაოდენობა : 1



სტატუსი : გამოცხადებულია

წინადადებაების მიღების დაწყებაშდე დარჩა:

დღე	საათი	წუთი	წამი
00	00	02	55

თანდარის ტიპი : რევერსული აუქციონი 


გამოცხადების თარიღი: 05/11/2017 20:59
წინადადებაების მიღების დაწყება: 05/11/2017 22:00
წინადადებაების მიღების დასრულება/ვაჭრობის დაწყება : 05/11/2017 23:00
პრეტენდენტებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ : დ.ღ.გ.-ს გარეშე ლარში
მაქსიმალური ღირებულება : 1000000.00 ლარი დ.ღ.გ.-ს გარეშე
ფასის კლების მინიმალური ბიძი : 1000.00 ლარი
მომსახურების ადგილი : თბილისი

მონანიღობის მიღება



[Etendersge](http://Etenders.ge)

თანდარი 100 ერთეული GPS მოწყობილობის შესყიდვაზე

CPV : 38100000: სანავიგაციო და მებთოროლოგიური ხელსაწყობები


განცხადების დეტალების ნახვა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტენდერი ან რეალიზაცია გამოცხადებულია შეზღუდული პროცედურის ფორმით. შეზღუდული პროცედურის დეტალების გვერდზე შესვლა შეუძლიათ ვებ-საიტის მხოლოდ იმ მომხმარებლებს, რომლებსაც შემსყიდველისგან ან რეალიზატორისგან მინიჭებული აქვთ ტენდერში/რეალიზაციაში მონაწილეობის უფლება.

6. შესყიდვების ტენდერების მიმდინარეობის სტატუსები

ტენდერებს გააჩნია მიმდინარეობის ექვსი სხვადასხვა სტატუსი, რაც უზრუნველყოფს ტენდერების სტანდარტიზირებულ მიმდინარეობას, სისტემაში გარკვეული ქმედებების დაშვებას/არ დაშვებას და აჩვენებს სატენდერო პროცედურის ეტაპს. ტენდერებს ყოველი შესაბამისი სტატუსი ენიჭება ავტომატურად, გამომცხადებლის მიერ მითითებული დროების შესაბამისად.

ტენდერის მიმდინარე სტატუსისა და მის ამოწურვამდე დარჩენილი დროის ხილვა შესაძლებელია ტენდერის დეტალებში შესვლით (იხ. სურათი №23).

სურათი №23



- **სტატუსი „გამოცხადებულია“** ტენდერს ენიჭება ტენდერის გამოცხადებისთანავე. აღნიშნული სტატუსის განმავლობაში პოტენციურ მიმწოდებლებს აქვთ შესაძლებლობა, გაეცნონ სატენდერო პირობებს, ხოლო წინადადებების წარდგენა ამ სტატუსზე შეუძლებელია. ტენდერის მიმდინარეობის ამ ეტაპზე შემსყიდველს შეუძლია განახორციელოს სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის ცვლილება და საჭიროების შემთხვევაში, ტენდერის შეწყვეტა. „გამოცხადებულია“ სტატუსის განმავლობაში სისტემაში ჩართულია კითხვა-პასუხის მოდული, რომელიც იძლევა შემსყიდველსა და პოტენციურ (სისტემაში რეგისტრირებულ) მიმწოდებლებს შორის კომუნიკაციის საშუალებას (მაგალითად: სატენდერო განაცხადის მოთხოვნების დაზუსტებასთან დაკავშირებული კითხვა-პასუხი). კითხვა-პასუხის მოდულის გამოყენებისას სისტემა უზრუნველყოფს პოტენციური მიმწოდებლების ანონიმურობას.

- **სტატუსზე „წინადადებების მიღება დაწყებულია“** მიმწოდებლებს ეძლევათ საშუალება, სისტემაში ატვირთონ მათი სატენდერო წინადადებები (ან გააუქმონ და/ან შეცვალონ მათ მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადებები). აღნიშნულ სტატუსზე გადასვლისთანავე რეგისტრირებული მომხმარებლებისათვის სისტემაში ჩნდება ღილაკი - „განაცხადის გაკეთება“. აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით დაინტერესებული კომპანიების მხრიდან ხორციელდება წინადადების სისტემაში ატვირთვა (გაითვალისწინეთ, რომ შემსყიდველი ვერ ხედავს წარდგენილ სატენდერო წინადადებებს ვიდრე ტენდერს არ მიენიჭება სტატუსი „დასრულებულია“). სტატუსზე გადასვლისთანავე, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის შეუძლებელი ხდება სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის ცვლილება. სტატუსის განმავლობაში სისტემაში ასევე ჩართულია კითხვა-პასუხის მოდული. (აღნიშნული სტატუსი არ გააჩნია განცხადების ტიპის ტენდერს).
- **სტატუსი „მიმდინარეობს ვაჭრობა“** ტენდერს ენიჭება მხოლოდ რევერსული აუქციონის შემთხვევაში. ელექტრონული ვაჭრობა იწყება ავტომატურად, სატენდერო წინადადებების მიღების ვადის ამოწურვისთანავე. სატენდერო წინადადებების დასასრულის/ელექტრონული ვაჭრობის დაწყების დროის მომენტის არჩევა ხორციელდება შემსყიდველის მიერ რევერსული აუქციონის გამოცხადებისას.
- **სტატუსი „დასრულებული“** წარმოადგენს ტენდერის საბოლოო სტატუსს, რომელიც ენიჭება ტენდერს ავტომატურად მას შემდეგ, რაც ამოიწურება შემსყიდველის მიერ სატენდერო წინადადებების მიღებისათვის განსაზღვრული დროის პერიოდი და ელექტრონულ ტენდერში წარდგენილია არანაკლებ ერთი წინადადება. რევერსული აუქციონის შემთხვევაში, სტატუსი „დასრულებული“ ტენდერს ენიჭება ელექტრონული ვაჭრობის დასრულებისთანავე. აღნიშნული სტატუსის მინიჭების შემდგომ შემსყიდველს შეუძლია იხილოს წარდგენილი სატენდერო წინადადებები და მოახდინოს მათი შეფასება.
- საბოლოო სტატუსს განეკუთვნება ასევე **სტატუსი „ტენდერი არ შედგა“**. აღნიშნული სტატუსი ტენდერს ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში არცერთ პრეტენდენტს არ მიუღია მონაწილეობა. განცხადების ტიპის ტენდერს არ გააჩნია სტატუსი „არ შედგა“, ვინაიდან აღნიშნული ტიპის ტენდერში სატენდერო წინადადებების წარდგენა არ ხორციელდება სისტემის მეშვეობით და სისტემისთვის უცნობია ისინი წარდგენილ იქნა, თუ არა.
- ტენდერს მიენიჭება **სტატუსი „შეწყვეტილი“** იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი განახორციელდებს ტენდერის შეწყვეტას, რაც შესაძლებელია მხოლოდ ტენდერის მიმდინარეობის ეტაპზე - „გამოცხადებულია“.


6.1 რეალიზაციის ტენდერების მიმდინარეობის სტატუსები

რეალიზაციის ტენდერებს გააჩნია მიმდინარეობის ექვსი სხვადასხვა სტატუსი, რომლებიც, ისევე როგორც შესყიდვების ტენდერების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ტენდერების

სტანდარტიზირებულ მიმდინარეობას და სისტემაში გარკვეული ქმედებების დაშვებას/არ დაშვებას. ტენდერებს ყოველი შესაბამისი სტატუსი ენიჭება ავტომატურად, რეალიზატორი კომპანიის მიერ ტენდერის გამოცხადებისას მითითებული ვადების მიხედვით.

ტენდერის მიმდინარე სტატუსისა და მის ამოწურვამდე დარჩენილი დროის ხილვა შესაძლებელია ტენდერის დეტალებში შესვლით (იხ. სურათი №24).

სურათი №24



- **სტატუსი „გამოცხადებულია“** სარეალიზაციო განაცხადს ენიჭება გამოცხადებისთანავე ავტომატურად. აღნიშნული სტატუსის განმავლობაში პოტენციურ შემსყიდველებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ განცხადებას და დოკუმენტაციას, ხოლო რეალიზატორს – განახორციელოს განცხადებისა და დოკუმენტაციის ცვლილება, ან საჭიროების შემთხვევაში შეწყვიტოს სარეალიზაციო ტენდერი. „გამოცხადებულია“ სტატუსის განმავლობაში სისტემაში ჩართულია კითხვა–პასუხის მოდული, რომელიც იძლევა რეალიზატორსა და პოტენციურ (სიტემაში რეგისტრირებულ) პრეტენდენტს შორის კომუნიკაციის საშუალებას განცხადებასთან დაკავშირებული დეტალების დაზუსტების მიზნით. კითხვა–პასუხის მოდულის გამოყენებისას სისტემა უზრუნველყოფს პოტენციური შემსყიდველების ანონიმურობას.
- **სტატუსზე „წინადადებების მიღება დაწყებულია“** პრეტენდენტებს ეძლევათ საშუალება, სისტემაში ატვირთონ მათი წინადადებები (ან გააუქმონ და/ან შეცვალონ მათ მიერ წარდგენილი წინადადებები). აღნიშნულ სტატუსზე გადასვლისთანავე რეგისტრირებული მომხმარებლებისათვის სისტემაში ჩნდება ლილაკი „განაცხადის გაკეთება“, რომლის დახმარებითაც ხორციელდება სატენდერო წინადადების წარდგენა (გაითვალისწინეთ, რომ რეალიზაციის გამომცხადებელი ვერ ხედავს წარდგენილ წინადადებებს ვიდრე რეალიზაციას არ მიენიჭება სტატუსი „დასრულებულია“). სტატუსზე გადასვლისთანავე, რეალიზატორი ორგანიზაციისათვის შეუძლებელი ხდება განცხადებისა და დოკუმენტაციის ცვლილება. აღნიშნული სტატუსის განმავლობაში სისტემაში ჩართულია კითხვა–პასუხის მოდული. წინადადების მიღების პერიოდის ხანგრძლივობას ირჩევს რეალიზატორი ორგანიზაცია მისი შეხედულებისამებრ სარეალიზაციო ტენდერის

გამოცხადებისას. სტატუსზე გადასვლა ხორციელდება ავტომატურად და არ საჭიროებს გამომცხადებლის მხრიდან რაიმე დამატებით ქმედებას. „წინადადებების მიღება დაწყებულია“ არ ენიჭება „განცხადების“ ტიპის რეალიზაციას, რომელშიც წინადადებების წარდგენა არ ხორციელდება სისტემის საშუალებით.

- **სტატუსი „მიმდინარეობს ვაჭრობა“** სარეალიზაციო განაცხადს ენიჭება მხოლოდ აუქციონის შემთხვევაში. ელექტრონული ვაჭრობა იწყება ავტომატურად, წინადადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე. წინადადებების მიღების დასასრულის/ელექტრონული ვაჭრობის დაწყების დროის არჩევა ხორციელდება რეალიზატორის მიერ აუქციონის გამოცხადებისას.
- **სტატუსი „დასრულებული“** წარმოადგენს სარეალიზაციო განაცხადის ერთ-ერთ საბოლოო სტატუსს, რომელიც ენიჭება განაცხადს ავტომატურად მას შემდეგ, რაც ამოიწურება რეალიზატორის მიერ წინადადებების მიღებისათვის განსაზღვრული დროის პერიოდი. აუქციონის შემთხვევაში, სტატუსი „დასრულებული“ ტენდერს ენიჭება ელექტრონული ვაჭრობის დასრულებისთანავე. აღნიშნული სტატუსის მინიჭების შემდგომ რეალიზატორს შეუძლია იხილოს წარდგენილი წინადადებები და მოახდინოს მათი შეფასება.
- ასევე საბოლოო სტატუსს განეკუთვნება **სტატუსი „არ შედგა“**. აღნიშნული სტატუსი რეალიზაციის ტენდერს ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში არცერთ პრეტენდენტს არ მიუღია მონაწილეობა. განცხადების ტიპის სარეალიზაციო ტენდერს არ გააჩნია სტატუსი „არ შედგა“, ვინაიდან აღნიშნული ტიპის ტენდერში სატენდერო წინადადებების წარდგენა არ ხორციელდება სისტემის მეშვეობით, შესაბამისად სისტემისთვის უცნობია, იქნა თუ არა წარდგენილი სატენდერო წინადადება განცხადების ტიპის ტენდერში.
- **სტატუსი „შეწყვეტილი“** ტენდერს ავტომატურად მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუ რეალიზატორი განახორციელებს ტენდერის შეწყვეტას, რაც შესაძლებელია მხოლოდ ტენდერის მიმდინარეობის ეტაპზე - "გამოცხადებულია".

7. შესყიდვის ტენდერების ტიპები და გამოცხადების ინსტრუქცია

Etenders.ge -ზე ტენდერის გამოცხადება შეუძლია ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიულ და ფიზიკურ პირს. შესყიდვების ტენდერის გამოსაცხადებლად პირველრიგში უნდა გაიაროთ [ავტორიზაცია ვებ-საიტზე](#), რის შემდეგაც უნდა დააჭიროთ „ტენდერის გამოცხადება“ ტექსტურ ღილაკს, რომელიც განთავსებულია ვებ-საიტის მთავარ გვერდზე (იხ. სურათი №25); ან, ვებ-საიტის მთავარ მენიუში შემდეგი თანმიმდევრობით უნდა დააჭიროთ: „ჩვენი სერვისები“, „შესყიდვების ელექტრონული სისტემა“ და „შესყიდვის გამოცხადება“ ღილაკებს (იხ. სურათი №26).

სურათი №25



ყველა ტენდერი

შესყიდვის გამოსხადება



უპირატესობები

შესყიდვების სისტემის ინსტრუქციები

ჩემი რჩეული შესყიდვები

ჩემი გამოსხადებული შესყიდვები

მონაწილეობა მათვეს მიღებული

სურათი №26



გამოცხადების ღილაკზე დაჭერის შედეგად ეკრანზე გამოვა სურათი №27-ის მსგავსი ფანჯარა, საიდანაც თქვენ უნდა აირჩიოთ არსებული ხუთი შესყიდვის საშუალებიდან ერთ-ერთი.

სურათი №27

ტენდერის გამოსხადება

- განცხადება ?
- რევერსული აუქციონი ?
- 1 კონვერტის პრინციპი ?
- 2 კონვერტის პრინციპი ?
- პრეკვალიფიკაცია ?

7.1 განცხადება

შემსყიდველი კომპანიების მიერ სატენდერო განცხადების გამოცხადება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მათ არ უნდათ, სატენდერო წინადადებები მიიღონ ელექტრონულად, Etenders.ge-ს მეშვეობით. ასეთი ტიპის ტენდერებში შემსყიდველები თავად ირჩევენ თუ რა ფორმით უნდა წარადგინონ სატენდერო წინადადებები პოტენციურმა მიმწოდებლებმა. მაგალითად, ელ. ფოსტით ან დალუქული კონვერტების წარდგენით ფიზიკურ მისამართზე.

განცხადების გამოსაცხადებლად, მენიუდან უნდა აირჩიოთ შესაბამისი ტენდერის ტიპი - „განცხადება“, რის შედეგადაც ეკრანზე გამოვა გვერდი (იხ. სურათი №28) შემდეგი შესავსები ველებით:

- „შესყიდვის ობიექტი“ - აღნიშნულ ველში წერთ შესყიდვის ობიექტის დასახელებას;
- „CPV“ - ირჩევთ შესყიდვის ობიექტის შესაბამის CPV კოდ(ებ)ს. შედეგად, ტენდერის გამოცხადებისთანავე, მიმწოდებლებს, რომლებიც ოპერირებენ თქვენს მიერ არჩეული CPV კოდების შესაბამის სფეროში მიუვათ ავტომატური შეტყობინებები ტენდერის გამოცხადების შესახებ;
- „გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ მაქსიმალური ღირებულება?“ - მოსანიშნი ღილაკით თქვენ ირჩევთ გსურთ თუ არა, რომ ტენდერში მიუთითოთ შესყიდვის ობიექტის მაქსიმალური ღირებულება;
- „განცხადების დასრულების თარიღი“ და „საათი“;
- „მომსახურების გაწევის/სამუშაოების ჩატარების/მიწოდების ადგილი“ - აღნიშნულ ველში უთითებთ ადგილს (მაგ: ქ. თბილისი) სადაც გსურთ შესყიდვის ობიექტის მოწოდება.

სურათი №28

განცხადება რევერსული აუქციონი 1 კონვერტის პრინციპი 2 კონვერტის პრინციპი პრეკვალიფიკაცია

შესყიდვის ობიექტი

CPV

<input type="checkbox"/>	CPV	დასახელება
<input type="checkbox"/>		ავეჯი
<input type="checkbox"/>	30100000	საოფისე მანქანა დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარეშე
<input checked="" type="checkbox"/>	39100000	ავეჯი
<input type="checkbox"/>	39200000	ავეჯის აქსესუარები

გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ მაქსიმალური ღირებულება? კი

მაქსიმალური ღირებულება დ.დ.გ.-ს გარეშე

განცხადების დასრულების თარიღი საათი

მომსახურების გაწევის/სამუშაოების ჩატარების/მიწოდების ადგილი

ყველა ველის შევსების შემდეგ სისტემაში ტვირთავთ სატენდერო დოკუმენტაციას და სხვა საჭირო ფაილებს. ასევე, შესაძლებელია ტენდერთან დაკავშირებული ინფორმაციის მითითება დამატებითი ინფორმაციის სახით (იხ. სურათი №29).

სურათი №29

სატენდერო დოკუმენტაცია

ატვირთული ფაილის სახელი:
 აღწერა:
 თარიღი: 14/05/2019

ახალი ფაილის ატვირთვა:

დამატებითი ინფორმაცია

B
U

Helvetica
A

გამოცხადება

მას შემდეგ რაც დაასრულებთ განაცხადის შევსებას უნდა დააჭიროთ „გამოცხადება“ ლილაკს. შემდგომ სისტემის მეშვეობით ან ინვოისით იხდით ტენდერის გამოცხადების საფასურს (საფასურის ინვოისით გადასახდელად გთხოვთ, წინასწარ დაუკავშირდეთ ვებ-საიტის ადმინისტრაციას); ტენდერი ავტომატურად აიტვირთება ვებ-საიტზე და მიენიჭება სტატუსი „გამოცხადებულია“ (მაგ. იხილეთ 30-ე სურათზე).

სურათი №30

უახლესი განცხადებები

უახლესი 10 განაცხადი
უახლესი ტენდერები
უახლესი გაყიდვები

Etenders.ge

Etenders.ge # 43035

საოფისე ავჯიზი

250000.00

გამოცხადების თარიღი: 01/10/2017

დასრულების თარიღი: 01/10/2017

სტატუსი: გამოცხადებულია

დეტალურად

7.2 რევერსული აუქციონი

რევერსული აუქციონი ეს არის შესყიდვის ტიპი, რომელშიც სატენდერო წინადადების ფასის კლება ხორციელდება აუქციონის მეშვეობით, ფასის კლებადობის პრინციპით. რევერსული აუქციონის გამოსაცხადებლად უნდა დააჭიროთ შესაბამის ღილაკს (იხ. სურათი №31).

სურათი №31

ტენდერის გამოცხადება

განცხადება რევერსული აუქციონი 1 კონვერტის პრინციპი 2 კონვერტის პრინციპი პრეკვალიფიკაცია

ღილაკზე დაჭერით გადახვალთ ტენდერის გამოცხადების გვერდზე (იხ. სურათი №32), შემდეგი შესავსები ველებით:

სურათი №32

შესყიდვის ობიექტი

CPV CPV Select

<input type="checkbox"/>	CPV	დასახელება
<input type="checkbox"/>	38600000	ოპტიკური ხელსაწყოები
<input type="checkbox"/>	38700000	ტაიმერები და მსგავსი მოწყობილობები; პარკინგის აპარატები/საათები
<input type="checkbox"/>	38800000	საწარმოო პროცესებისა და დისტანციური მართვის მოწყობილობები
<input type="checkbox"/>	38900000	შეფასებისა და ტესტირების სხვადასხვა სახის ხელსაწყოები
<input checked="" type="checkbox"/>	39100000	ავეჯი

ღია პროცედურა შეზღუდული პროცედურა

გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტმა დაინახონ მაქსიმალური ღირებულება? კი

მაქსიმალური ღირებულება თეთრი ლარი

ანონიმური ტენდერი?

გსურთ თუ არა, რომ ტენდერის დასრულების შემდეგ პრეტენდენტმა დაინახონ ერთმანეთის ვინაობები?

გსურთ თუ არა განისაზღვროს ფასის კლების მინიმალური ბიჯი დიახ ბიჯი თეთრი

ტენდერში წინადადებების მიღების დაწყების თარიღი საათი

წინადადებების მიღების დასრულების / აუქციონის დაწყების თარიღი საათი

მომსახურების გაწევის/სამუშაოების ჩატარების/მიწოდების ადგილი

- „შესყიდვის ობიექტი“ - აღნიშნულ ველში წერთ შესყიდვის ობიექტის დასახელებას;
- „CPV“ - ირჩევთ შესყიდვის ობიექტის შესაბამის CPV კოდ(ებ)ს. შედეგად, ტენდერის გამოცხადებისთანავე, მიმწოდებლებს, რომლებიც ოპერირებენ თქვენს მიერ არჩეულ

CPV კოდების შესაბამის სფეროში მიუვათ ავტომატური შეტყობინებები ტენდერის გამოცხადების შესახებ;

- **„ღია პროცედურა“ / „შეზღუდული პროცედურა“** - ღია პროცედურა ნიშნავს ტენდერს, რომელშიც სატენდერო წინადადების წარდგენა შეუძლია სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ მიმწოდებელს. შეზღუდული პროცედურის შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციის ხილვა და სატენდერო წინადადების წარდგენა შეუძლიათ სისტემაში რეგისტრირებულ მხოლოდ იმ მიმწოდებლებს, რომლებსაც შემსყიდველის მიერ აქვთ მინიჭებული მონაწილეობის უფლება;
- **„გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტმა დაინახონ მაქსიმალური ღირებულება?“** - მოსანიშნი ღილაკით ირჩევთ გსურთ, თუ არა, რომ ტენდერში მიუთითოთ შესყიდვის ობიექტის მაქსიმალური ღირებულება. მითითების შემთხვევაში ტენდერში მონაწილე პირებს შეეზღუდებათ მაქსიმალურ ღირებულებაზე მეტი ოდენობის ფასის შემოთავაზება;
- **„ანონიმური ტენდერი“** - ანონიმური ტენდერის არჩევის შემთხვევაში, შემსყიდველის ვინაობის ხილვას შეძლებენ მხოლოდ ის მომხმარებლები, რომლებმაც წინადადება წარადგინეს ტენდერში, მას მერე, რაც დასრულდება ტენდერი;
- **„გსურთ თუ არა, რომ ტენდერის დასრულების შემდეგ პრეტენდენტმა დაინახონ ერთმანეთის ვინაობები?“** - მოსანიშნი ღილაკით ირჩევთ გსურთ, თუ არა, რომ ტენდერის დასრულების შემდგომ მონაწილეებმა იხილონ ერთმანეთის ვინაობები;
- **„გსურთ თუ არა განისაზღვროს ფასის კლების მინიმალური ბიჯი“** - რევერსულ აუქციონში თქვენ შეგიძლიათ მიუთითოთ, აუქციონში ფასის კლების მინიმალური ბიჯი. იმ შემთხვევაში, თუ მითითებული გაქვთ ფასის კლების ბიჯი, მაშინ სისტემა მიმწოდებელს მისცემს საშუალებას დააკლოს მის აქტუალურ ფასს არანაკლებ ერთი ბიჯის ოდენობის თანხა;
- **„ტენდერში წინადადებების მიღების დაწყების თარიღი“** - აღნიშნული ველის გასწვრივ განთავსებული კალენდრის მეშვეობით ირჩევთ ტენდერში სატენდერო წინადადებების მიღების დაწყების დროს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ არ შეგეძლება შეცვალოთ სატენდერო დოკუმენტაცია და სხვა დეტალები მას შემდეგ რაც დაიწყება სატენდერო წინადადებების მიღება;
- **„წინადადებების მიღების დასრულების / აუქციონის დაწყების თარიღი“** - ველში უთითებთ იმ თარიღსა და დროს, როდესაც გინდათ, რომ დასრულდეს სატენდერო წინადადებების მიღება და დაიწყოს რევერსული აუქციონი. რევერსული აუქციონი იწყება წინადადებების მიღების ვადის ამოწურვისთანავე. აუქციონის მიმდინარეობის დრო სტანდარტულად შეადგენს 15 წუთს. აღნიშნული დროის ფარგლებში იმართება პრეტენდენტებს შორის ელექტრონული ვაჭრობა, რაც გულისხმობს მათ მიერ ფასების კლებას. ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ პრეტენდენტმა წარადგინოს სხვა პრეტენდენტზე დაბალი ფასი. ფასების კლების ოდენობები შეზღუდული არ არის. იმ შემთხვევაში, თუ რევერსული აუქციონის მსვლელობის უკანასკნელი ორი წუთის განმავლობაში მონაწილე პრეტენდენტის მიერ განხორციელდება ფასის კლება, რის შედეგადაც იგი ჩამოცდება კონკურენტ(ებ)ის მიერ შეთავაზებულ ფასს, აუქციონის დროის მრიცხველი უბრუნდება ისევ მეორე უკანასკნელ წუთს (მაგალითად, აუქციონი სრულდება 27 წამში, პრეტენდენტმა შეამცირა ფასი 10.000 ლარიდან 9.500 ლარამდე და ამით ჩამოცდა სხვა პრეტენდენტ(ებ)ის მიერ დაფიქსირებულ ფასს, აუქციონის მიმდინარეობის ხანგრძლივობა იზრდება და წამების კლება იწყება მე-2 წუთიდან). ყოველივე ზემოაღნიშნული გამორიცხავს პრეტენდენტების მხრიდან ფასის დაფიქსირებისათვის ვაჭრობის უჭაპის ბოლო წამის მოლოდინს. შემსყიდველს

საშუალება ეძლევა თვალი ადევნოს ვაჭრობის პროცესის მსვლელობას ონლაინ რეჟიმში. აუქციონის დასრულების შემდეგ ტენდერს მიენიჭება სტატუსი „დასრულებულია“ და თქვენ შეგეძლებათ შეაფასოთ შემოთავაზებული სატენდერო წინადადებები;

- „მომსახურების გაწევის/სამუშაოების ჩატარების/მიწოდების ადგილი“ - აღნიშნულ ველში უთითებთ ადგილს სადაც გსურთ შესყიდვის ობიექტის მოწოდება (მაგ: ქ. თბილისი).

ყველა ველის შევსების შემდეგ სისტემაში ტვირთავთ სატენდერო დოკუმენტაციას და სხვა საჭირო ფაილებს. ასევე, შესაძლებელია ტენდერთან დაკავშირებული ინფორმაციის მითითება დამატებითი ინფორმაციის სახით (იხ. სურათი №33).

სურათი №33

სატენდერო დოკუმენტაცია

ატვირთული ფაილის სახელი: სატენდერო დოკუმენტაცია.docx
აღწერა: სატესტო დოკუმენტაცია
თარიღი: 14/05/2019 წაშლა

ახალი ფაილის ატვირთვა: Browse... ატვირთვა ?

დამატებითი ინფორმაცია


Rich text editor toolbar: Bold, Italic, Underline, Helvetica font, Yellow text color, List, Table, Link, Unlink, Image, Source code, Help.

გამოცხადება

მას შემდეგ რაც დაასრულებთ განაცხადის შევსებას უნდა დააჭიროთ „გამოცხადება“ ლილავს. შემდგომ სისტემის მეშვეობით ან ინვოისით იხდით ტენდერის გამოცხადების საფასურს (საფასურის ინვოისით გადასახდელად გთხოვთ, წინასწარ დაუკავშირდეთ ვებ-საიტის ადმინისტრაციას); ტენდერი ავტომატურად აიტვირთება ვებ-საიტზე და მიენიჭება სტატუსი „გამოცხადებულია“ (მაგ. იხილეთ 34-ე სურათზე).

უახლესი განცხადებები

უახლესი 10 განაცხადი	უახლესი ტენდერები	უახლესი გაყიდვები
----------------------	-------------------	-------------------




Etenders.ge

საოფისე ავიაჰი

250000.00

გამოცხადების თარიღი: 01/10/2017
დასრულების თარიღი: 01/10/2017
სტატუსი: გამოცხადებულია

43035



[დეტალურად](#)

7.3 ტენდერი ერთი კონვერტის პრინციპით

თუ თქვენ აცხადებთ ტენდერს ერთი კონვერტის პრინციპით, მიმწოდებლის მიერ Etenders.ge-ზე ატვირთული სატენდერო წინადადების, როგორც ტექნიკური (მაგალითად, შემოთავაზებული ობიექტის ტექნიკური პარამეტრები), ასევე ფინანსური (მაგალითად, ხარჯთაღრიცხვა) ნაწილი ხდება თქვენთვის ერთიანად ხელმისაწვდომი/ხილვადი თქვენი ელექტრონული ტენდერის შედეგების ველში, როგორც კი დასრულდება წინადადებების წარდგენისათვის განსაზღვრული დრო. ტენდერის გამოსაცხადებლად უნდა მონიშნოთ შესაბამისი შესყიდვის პროცედურა, რის შედეგადაც გადახვალთ ტენდერის გამოცხადების გვერდზე (იხ. სურათი №35), შემდეგი შესავსები ველებით:

სურათი №35

შესყიდვის ობიექტი

CPV CPV დასახელება

CPV	დასახელება
<input type="checkbox"/> 38600000	ოპტიკური ხელსაწყოები
<input type="checkbox"/> 38700000	ტაიმერები და მსგავსი მოწყობილობები; პარკინგის აპარატები/საათები
<input type="checkbox"/> 38800000	საწარმოო პროცესებისა და დისტანციური მართვის მოწყობილობები
<input type="checkbox"/> 38900000	შეფასებისა და ტესტირების სხვადასხვა სახის ხელსაწყოები
<input checked="" type="checkbox"/> 39100000	ავეჯი

ღია პროცედურა შეზღუდული პროცედურა

გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ მაქსიმალური ღირებულება? კი

მაქსიმალური ღირებულება თეთრი დ.დ.გ.-ს გარეშე ლარი

ანონიმური ტენდერი?

გსურთ თუ არა, რომ ტენდერის დასრულების შემდეგ პრეტენდენტებმა დაინახონ ერთმანეთის ვინაობები?

ტენდერში წინადადებების მიღების დაწყების თარიღი საათი

წინადადებების მიღების დასრულების თარიღი საათი

მომსახურების გაწევის/სამუშაოების ჩატარების/მიწოდების ადგილი

- „შესყიდვის ობიექტი“ - აღნიშნულ ველში წერთ შესყიდვის ობიექტის დასახელებას;
- „CPV“ - ირჩევთ შესყიდვის ობიექტის შესაბამის CPV კოდ(ებ)ს. შედეგად, ტენდერის გამოცხადებისთანავე, მიმწოდებლებს, რომლებიც ოპერირებენ თქვენს მიერ არჩეული CPV კოდების შესაბამის სფეროში მიუვათ ავტომატური შეტყობინებები ტენდერის გამოცხადების შესახებ;
- „ღია პროცედურა“ / „შეზღუდული პროცედურა“ - ღია პროცედურა ნიშნავს ტენდერს, რომელშიც სატენდერო წინადადების წარდგენა შეუძლია სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ მიმწოდებელს. შეზღუდული პროცედურის შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციის ხილვა და სატენდერო წინადადების წარდგენა შეუძლიათ სისტემაში რეგისტრირებულ მხოლოდ იმ მიმწოდებლებს, რომლებსაც შემსყიდველის მიერ აქვთ მინიჭებული მონაწილეობის უფლება;
- „გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ მაქსიმალური ღირებულება?“ - მოსანიშნი ღილაკით ირჩევთ გსურთ, თუ არა, რომ ტენდერში მიუთითოთ შესყიდვის ობიექტის მაქსიმალური ღირებულება;
- „ანონიმური ტენდერი“ - ანონიმური ტენდერის არჩევის შემთხვევაში, შემსყიდველის ვინაობის ხილვას შეძლებენ მხოლოდ ის მომხმარებლები, რომლებმაც წინადადება წარადგინეს ტენდერში, მას მერე, რაც დასრულდება ტენდერი;

- „გსურთ თუ არა, რომ ტენდერის დასრულების შემდეგ პრეტენდენტებმა დაინახონ ერთმანეთის ვინაობები?“ - მოსანიშნი ღილაკით ირჩევთ გსურთ, თუ არა, რომ ტენდერის დასრულების შემდგომ მონაწილეებმა იხილონ ერთმანეთის ვინაობები;
- „ტენდერში წინადადებების მიღების დაწყების თარიღი“ - აღნიშნული ველის გასწვრივ განთავსებული კალენდარის მეშვეობით ირჩევთ ტენდერში სატენდერო წინადადებების მიღების დაწყების დროს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ არ შეგეძლება შეცვალოთ სატენდერო დოკუმენტაცია და სხვა დეტალები მას შემდეგ რაც დაიწყება სატენდერო წინადადებების მიღება;
- „წინადადებების მიღების დასრულების თარიღი“ - ველში უთითებთ იმ თარიღსა და დროს, როდესაც გინდათ, რომ დასრულდეს სატენდერო წინადადებების მიღება. წინადადებების მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ ტენდერს მიენიჭება სტატუსი „დასრულებულია“ და თქვენ შეგეძლება იხილოთ და შეაფასოთ შემოთავაზებული სატენდერო წინადადებები;
- „მომსახურების გაწევის/სამუშაოების ჩატარების/მიწოდების ადგილი“ - აღნიშნულ ველში უთითებთ ადგილს სადაც გსურთ შესყიდვის ობიექტის მოწოდება (მაგ: ქ. თბილისი).

ყველა ველის შევსების შემდეგ სისტემაში ტვირთავთ სატენდერო დოკუმენტაციას და სხვა საჭირო ფაილებს. ასევე, შესაძლებელია ტენდერთან დაკავშირებული ინფორმაციის მითითება დამატებითი ინფორმაციის სახით (იხ. სურათი №36).


სურათი №36

გამოცხადება

მას შემდეგ რაც დაასრულებთ განაცხადის შევსებას უნდა დააჭიროთ „გამოცხადება“ ღილაკს. შემდგომ სისტემის მეშვეობით ან ინვოისით იხდით ტენდერის გამოცხადების საფასურს (საფასურის ინვოისით გადასახდელად გთხოვთ, წინასწარ დაუკავშირდეთ ვებ-საიტის ადმინისტრაციას); ტენდერი ავტომატურად აიტვირთება ვებ-საიტზე და მიენიჭება სტატუსი „გამოცხადებულია“ (მაგ. იხილეთ 37-ე სურათზე).

უახლესი განცხადებები

უახლესი 10 განაცხადი	უახლესი ტენდერები	უახლესი გაყიდვები
----------------------	-------------------	-------------------




Etenders.ge

საოფისე აგეჯი

250000.00

გამოცხადების თარიღი: 01/10/2017
დასრულების თარიღი: 01/10/2017
სტატუსი: გამოცხადებულია

43035



დეტალურად

7.4 ტენდერი ორი კონვერტის პრინციპით

ტენდერი ორი კონვერტის პრინციპით, გამოიყენება უპირველეს ყოვლისა მაშინ, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია (შიდაორგანიზაციული წესებით) ვალდებულია, ჯერ შეაფასოს სატენდერო წინადადებების ტექნიკური ნაწილი, ხოლო შემდეგ შეაფასოს ფინანსური ნაწილი, ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი წინადადების შერჩევისათვის. შესაბამისად, აღნიშნული ტიპის ტენდერში სატენდერო წინადადებების წარმოდგენა პრეტენდენტთა მიერ ხორციელდება ორი ელექტრონული კონვერტით, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ შემსყიდველი ვერ ხედავს სატენდერო წინადადების ღირებულებას ვიდრე არ დაასრულებს ტექნიკური ნაწილის შეფასებას.

ტენდერის გამოსაცხადებლად უნდა აირჩიოს შესაბამისი შესყიდვის პროცედურა, რის შედეგადაც გადახვალთ ტენდერის გამოცხადების გვერდზე (იხ. სურათი №38), შემდეგი შესავსები ველებით:

სურათი №38

შესყიდვის ობიექტი

CPV CPV დასახელება

CPV	დასახელება
<input type="checkbox"/> 38600000	ოპტიკური ხელსაწყოები
<input type="checkbox"/> 38700000	ტაიმერები და მსგავსი მოწყობილობები; პარკინგის აპარატები/საათები
<input type="checkbox"/> 38800000	საწარმოო პროცესებისა და დისტანციური მართვის მოწყობილობები
<input type="checkbox"/> 38900000	შეფასებისა და ტესტირების სხვადასხვა სახის ხელსაწყოები
<input checked="" type="checkbox"/> 39100000	ავეჯი

ღია პროცედურა შეზღუდული პროცედურა

გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ მაქსიმალური ღირებულება? კი

მაქსიმალური ღირებულება თეთარი ლარი

ანონიმური ტენდერი?

გსურთ თუ არა, რომ ტენდერის დასრულების შემდეგ პრეტენდენტებმა დაინახონ ერთმანეთის ვინაობები?

ტენდერში წინადადებების მიღების დაწყების თარიღი საათი

წინადადებების მიღების დასრულების თარიღი საათი

მომსახურების გაწევის/სამუშაოების ჩატარების/მიწოდების ადგილი

- „შესყიდვის ობიექტი“ - აღნიშნულ ველში წერთ შესყიდვის ობიექტის დასახელებას;
- „CPV“ - ირჩევთ შესყიდვის ობიექტის შესაბამის CPV კოდ(ებ)ს. შედეგად, ტენდერის გამოცხადებისთანავე, მიმწოდებლებს, რომლებიც ოპერირებენ თქვენს მიერ არჩეული CPV კოდების შესაბამის სფეროში მიუვათ ავტომატური შეტყობინებები ტენდერის გამოცხადების შესახებ;
- „ღია პროცედურა“ / „შეზღუდული პროცედურა“ - ღია პროცედურა ნიშნავს ტენდერს, რომელშიც სატენდერო წინადადების წარდგენა შეუძლია სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ მიმწოდებელს. შეზღუდული პროცედურის შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციის ხილვა და სატენდერო წინადადების წარდგენა შეუძლიათ სისტემაში რეგისტრირებულ მხოლოდ იმ მიმწოდებლებს, რომლებსაც შემსყიდველის მიერ აქვთ მინიჭებული მონაწილეობის უფლება;
- „გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ მაქსიმალური ღირებულება?“ - მოსანიშნი ღილაკით ირჩევთ გსურთ, თუ არა, რომ ტენდერში მიუთითოთ შესყიდვის ობიექტის მაქსიმალური ღირებულება;

- „ანონიმური ტენდერი“ - ანონიმური ტენდერის არჩევის შემთხვევაში, შემსყიდველის ვინაობის ხილვას შეძლებენ მხოლოდ ის მომხმარებლები, რომლებმაც წინადადება წარადგინეს ტენდერში, მას მერე, რაც დასრულდება ტენდერი;
- „გსურთ თუ არა, რომ ტენდერის დასრულების შემდეგ პრეტენდენტებმა დაინახონ ერთმანეთის ვინაობები?“ - მოსანიშნი ღილაკით ირჩევთ გსურთ, თუ არა, რომ ტენდერის დასრულების შემდგომ მონაწილეებმა იხილონ ერთმანეთის ვინაობები;
- „ტენდერში წინადადებების მიღების დაწყების თარიღი“ - აღნიშნული ველის გასწვრივ განთავსებული კალენდარის მეშვეობით ირჩევთ ტენდერში სატენდერო წინადადებების მიღების დაწყების დროს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ არ შეგეძლება შეცვალოთ სატენდერო დოკუმენტაცია და სხვა დეტალები მას შემდეგ რაც დაიწყება სატენდერო წინადადებების მიღება;
- „წინადადებების მიღების დასრულების თარიღი“ - ველში უთითებთ იმ თარიღსა და დროს, როდესაც გინდათ, რომ დასრულდეს სატენდერო წინადადებების მიღება. წინადადებების მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ ტენდერს მიენიჭება სტატუსი „დასრულებულია“ და თქვენ შეგეძლება იხილოთ და შეაფასოთ შემოთავაზებული სატენდერო წინადადებები;
- „მომსახურების გაწევის/სამუშაოების ჩატარების/მიწოდების ადგილი“ - აღნიშნულ ველში უთითებთ ადგილს სადაც გსურთ შესყიდვის ობიექტის მოწოდება (მაგ: ქ. ქუთაისი).

ყველა ველის შევსების შემდეგ სისტემაში ტვირთავთ სატენდერო დოკუმენტაციას და სხვა საჭირო ფაილებს. ასევე, შესაძლებელია ტენდერთან დაკავშირებული ინფორმაციის მითითება დამატებითი ინფორმაციის სახით (იხ. სურათი №39).

სურათი №39

სატენდერო დოკუმენტაცია

ატვირთული ფაილის სახელი	აღწერა	თარიღი
სატენდერო დოკუმენტაცია.docx	<input type="text" value="სატესტო დოკუმენტაცია"/>	14/05/2019 <input type="button" value="წაშლა"/>
ახალი ფაილის ატვირთვა	<input type="text" value="Browse..."/>	<input type="button" value="ატვირთვა"/> ?

დამატებითი ინფორმაცია


გამოცხადება

მას შემდეგ რაც დაასრულებთ განაცხადის შევსებას უნდა დააჭიროთ „გამოცხადება“ ლილავს. შემდგომ სისტემის მეშვეობით ან ინვოისით იხდით ტენდერის გამოცხადების საფასურს (საფასურის ინვოისით გადასახდელად გთხოვთ, წინასწარ დაუკავშირდეთ ვებ-საიტის ადმინისტრაციას); ტენდერი ავტომატურად აიტვირთება ვებ-საიტზე და მიენიჭება სტატუსი „გამოცხადებულია“ (მაგ. იხილეთ №40 სურათზე).

სურათი №40

უახლესი განცხადებები

უახლესი 10 განაცხადი	უახლესი ტენდერები	უახლესი გაყიდვები
----------------------	-------------------	-------------------




Etenders.ge

სათვისა ავტო

250000.00

გამოცხადების თარიღი: 01/10/2017
დასრულების თარიღი: 01/10/2017
სტატუსი: გამოცხადებულია

43035



დეტალურად

7.5 პრეკვალიფიკაცია

პრეკვალიფიკაცია საშუალებას გაძლევთ მოახდინოთ კვალიფიციური მიმწოდებლების წინასწარი შერჩევა, მათთვის შესყიდვის პროცესის შემდგომი ეტაპის წარმართვისათვის. პრეკვალიფიკაციის შემდგომ ეტაპს, როგორც წესი, განეკუთვნება შეზღუდული პროცედურის ტიპის ტენდერი.

პრეკვალიფიკაციის გამოსაცხადებლად უნდა მონიშნოთ შესაბამისი პროცედურა, რის შედეგადაც გადახვალთ გამოცხადების გვერდზე (იხ. სურათი №41), შემდეგი შესავსები ველებით:

სურათი №41

შესყიდვის ობიექტი

CPV CPV

<input type="checkbox"/>	CPV	დასახელება
<input type="checkbox"/>	38600000	ოპტიკური ხელსაწყოები
<input type="checkbox"/>	38700000	ტაიმერები და მსგავსი მოწყობილობები; პარკინგის აპარატები/საათები
<input type="checkbox"/>	38800000	საწარმოო პროცესებისა და დისტანციური მართვის მოწყობილობები
<input type="checkbox"/>	38900000	შეფასებისა და ტესტირების სხვადასხვა სახის ხელსაწყოები
<input checked="" type="checkbox"/>	39100000	ავეჯი

გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ მაქსიმალური ღირებულება? კი

მაქსიმალური ღირებულება თეთრი

ანონიმური ტენდერი?

გსურთ თუ არა, რომ ტენდერის დასრულების შემდეგ პრეტენდენტებმა დაინახონ ერთმანეთის ვინაობები?

ტენდერში წინადადებების მიღების დაწყების თარიღი საათი

წინადადებების მიღების დასრულების თარიღი საათი

მომსახურების გაწევის/სამუშაოების ჩატარების/მიწოდების ადგილი

- „შესყიდვის ობიექტი“ - აღნიშნულ ველში წერთ შესყიდვის ობიექტის დასახელებას;
- „CPV“ - ირჩევთ შესყიდვის ობიექტის შესაბამის CPV კოდ(ებ)ს. შედეგად, ტენდერის გამოცხადებისთანავე, მიმწოდებლებს, რომლებიც ოპერირებენ თქვენს მიერ არჩეული CPV კოდების შესაბამის სფეროში მიუვით ავტომატური შეტყობინებები ტენდერის გამოცხადების შესახებ;
- „გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ მაქსიმალური ღირებულება?“ - მოსანიშნი ღილაკით ირჩევთ გსურთ, თუ არა, რომ ტენდერში მიუთითოთ შესყიდვის ობიექტის მაქსიმალური ღირებულება;
- „ანონიმური ტენდერი“ - ანონიმური ტენდერის არჩევის შემთხვევაში, შემსყიდველის ვინაობის ხილვას შეძლებენ მხოლოდ ის მომხმარებლები, რომლებმაც წინადადება წარადგინეს ტენდერში, მას მერე, რაც დასრულდება ტენდერი;
- „გსურთ თუ არა, რომ ტენდერის დასრულების შემდეგ პრეტენდენტებმა დაინახონ ერთმანეთის ვინაობები?“ - მოსანიშნი ღილაკით ირჩევთ გსურთ, თუ არა, რომ პრეკვალიფიკაციის დასრულების შემდგომ მონაწილეებმა იხილონ ერთმანეთის ვინაობები;
- „პრეკვალიფიკაციის დასაწყისი“ - აღნიშნული ველის გასწვრივ განთავსებული კალენდარის მეშვეობით ირჩევთ პრეკვალიფიკაციაში წინადადებების მიღების დაწყების დროს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ არ შეგეძლება თუ შეცვალოთ

განცხადების დოკუმენტაცია და სხვა დეტალები მას შემდეგ რაც დაიწყება წინადადებების მიღება;

- „პრეკვალიფიკაციის დასასრული“ - ველში უთითებთ იმ თარიღსა და დროს, როდესაც გინდათ, რომ დასრულდეს წინადადებების მიღება. წინადადებების მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ პრეკვალიფიკაციის პროცედურას მიენიჭება სტატუსი „დასრულებულია“ და თქვენ შეგეძლება იხილოთ და შეაფასოთ შემოთავაზებული წინადადებები;
- „მომსახურების გაწევის/სამუშაოების ჩატარების/მიწოდების ადგილი“ - აღნიშნულ ველში უთითებთ ადგილს სადაც შემდგომში უნდა განხორციელდეს შესყიდვის ობიექტის მოწოდება (მაგ: ქ. თბილისი).

ყველა ველის შევსების შემდეგ სისტემაში ტვირთავთ დოკუმენტაციას და სხვა საჭირო ფაილებს (არსებობის შემთხვევაში). ასევე, შესაძლებელია პრეკვალიფიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მითითება დამატებითი ინფორმაციის სახით (იხ. სურათი №42).

სურათი №42

სატენდერო დოკუმენტაცია

ატვირთული ფაილის სახელი აღწერა თარიღი
სატენდერო დოკუმენტაცია.docx სატენდერო დოკუმენტაცია 14/05/2019 წაშლა

ახალი ფაილის ატვირთვა Browse... ატვირთვა ?

დამატებითი ინფორმაცია

Rich text editor toolbar: Bold (B), Underline (U), Text color (A), Font face (Helvetica), List, Table, and other icons.

გამოცხადება

მას შემდეგ რაც დაასრულებთ განაცხადის შევსებას უნდა დააჭიროთ „გამოცხადება“ ლილავს. შემდგომ სისტემის მეშვეობით ან ინვოისით იხდით პრეკვალიფიკაციის გამოცხადების საფასურს (საფასურის ინვოისით გადასახდელად გთხოვთ, წინასწარ დაუკავშირდეთ ვებ-საიტის ადმინისტრაციას); პრეკვალიფიკაცია ავტომატურად აიტვირთება ვებ-საიტზე და მიენიჭება სტატუსი „გამოცხადებულია“ (მაგ. იხილეთ №43 სურათზე).

სურათი №43

უახლესი განცხადებები

უახლესი 10 განაცხადი	უახლესი ტენდერები	უახლესი გაყიდვები	
----------------------	-------------------	-------------------	--

Etenders.ge

Etenders.ge # 43035

საოფისე ავეჯი

250000.00

გამოცხადების თარიღი: 01/10/2017
დასრულების თარიღი: 01/10/2017
სტატუსი: გამოცხადებულია

★

დეტალურად

7.6 შეზღუდული პროცედურა

შეზღუდული პროცედურის ტიპის ტენდერი ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი ტიპის ტენდერი იტვირთება ვებ-საიტზე და განაცხადის ხილვა შეუძლია ვებ-საიტის ნებისმიერ მომხმარებელს (იხ. სურათი №44); თუმცა, სატენდერო დოკუმენტაციისა და ტენდერის დეტალების ნახვა, ასევე, სატენდერო წინადადების წარდგენა შეუძლიათ მხოლოდ იმ მიმწოდებლებს, რომლებსაც შემსყიდველის მიერ აქვთ მინიჭებული მონაწილეობის უფლება კონკრეტულ ტენდერზე.

სურათი №44

Etenders.ge

Etenders.ge # 43038

ტენდერი ავტომანქანების შესყიდვაზე

გამოცხადების თარიღი: 05/10/2017
დასრულების თარიღი: 20/10/2017
სტატუსი: გამოცხადებულია

★ 🔒

შეზღუდული პროცედურის გამოცხადება შესაძლებელია რევერსული აუქციონის, 1 კონვერტის პრინციპის და 2 კონვერტის პრინციპის ტენდერების გამოცხადებისას. შეზღუდული პროცედურის არჩევა ხორციელდება ტენდერის გამოცხადების გვერდიდან, შესაბამისი ფუნქციის მონიშვნით (იხ. №45 სურათი)

სურათი №45

ღია პროცედურა შეზღუდული პროცედურა

კომპანია ID ნომერი ელ-ფოსტა

კომპანია ID ნომერი ელ-ფოსტა

გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ მაქსიმალური ღირებულება? კი

მაქსიმალური ღირებულება 50000 თეთრი დ.დ.გ.-ს გარეშე ლარი

ანონიმური ტენდერი?

გსურთ თუ არა, რომ ტენდერის დასრულების შემდეგ პრეტენდენტებმა დაინახონ ერთმანეთის ვინაობები?

ტენდერში წინადადებების მიღების დაწყების თარიღი 5/14/2019 საათი 13:00

წინადადებების მიღების დასრულების თარიღი 5/31/2019 საათი 17:00

მომსახურების გაწევის/სამუშაოების ჩატარების/მიწოდების ადგილი თბილისი

იმისათვის, რომ მომწოდებელს მიაწოდოს შეზღუდულ პროცედურაში მონაწილეობის მიღების უფლება, თქვენ უნდა მოიძიოთ და მონიშნოთ სასურველი მომწოდებლები ჩვენი ვებ-საიტის მომხმარებელთა ბაზიდან (მომწოდებელი რეგისტრირებული უნდა იყოს etenders.ge-ს სისტემაში). მომწოდებელთა მოძიება ხორციელდება სპეციალური საძებნი ველებით (იხ. სურათი №46); მომწოდებლის სახელით, საიდენტიფიკაციო კოდით, ან ელექტრონული ფოსტის მისამართით.

სურათი №46

ღია პროცედურა შეზღუდული პროცედურა

კომპანია	ID ნომერი	ელ-ფოსტა
CompanyName	IDNumber	Email
Etenders.ge	405075047	levan@etenders.ge

მომხარებლის მოძიების შემდეგ, უნდა დააკლიკოთ მის დასახელებაზე, რის შედეგადაც მომხმარებელს მიენიჭება ტენდერში მონაწილეობის უფლება და დაემატება ტენდერში მოწვეულ მომწოდებელთა სიაში. თუ, მომწოდებელი შეცდომით იქნა მონიშნული შეგიძლიათ მისი წაშლა სიიდან, „წაშლა“ ლილავის დახმარებით (იხ. სურათი №47).

სურათი №47

ღია პროცედურა შეზღუდული პროცედურა

კომპანია	ID ნომერი	ელ-ფოსტა
Etenders.ge	405075047	levan@etenders.ge

წაშლა

7.7 ანონიმური ტენდერი

ანონიმური ტენდერის არჩევის შემთხვევაში, შემსყიდველის ვინაობის ხილვას შეძლებენ მხოლოდ ის მომხმარებლები, რომლებმაც წინადადება წარადგინეს ტენდერში, მას მერე, რაც დასრულდება ტენდერი.

ანონიმური ტენდერის გამოცხადება შესაძლებელია პრეკვალიფიკაციის პროცედურის, რევერსული აუქციონის, 1 კონვერტის პრინციპის და 2 კონვერტის პრინციპის ტენდერების გამოცხადებისას. ანონიმური ტენდერის არჩევა ხორციელდება ტენდერის გამოცხადების გვერდიდან, შესაბამისი ფუნქციის მონიშვნით (იხ. სურათი №48)

სურათი №48

შესყიდვის ობიექტი საოფისე ავეჯის შესყიდვა

CPV

CPV	დასახელება
<input type="checkbox"/> 38400000	ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყოები
<input type="checkbox"/> 38500000	საკონტროლო და გამოსაცდელი აპარატურა
<input type="checkbox"/> 38600000	ოპტიკური ხელსაწყოები
<input type="checkbox"/> 38700000	ტაიმერები და მსგავსი მოწყობილობები; პარკინგის აპარატები/საათები
<input type="checkbox"/> 38800000	საწარმოო პროცესებისა და დისტანციური მართვის მოწყობილობები
<input type="checkbox"/> 38900000	შეფასებისა და ტესტირების სხვადასხვა სახის ხელსაწყოები
<input checked="" type="checkbox"/> 39100000	ავეჯი
<input type="checkbox"/> 39200000	ავეჯის აქსესუარები

ღია პროცედურა შეზღუდული პროცედურა

გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ მაქსიმალური ღირებულება? კი

მაქსიმალური ღირებულება 25000 00 დ.დ.გ.-ს გარეშე ლარი

ანონიმური ტენდერი?

გსურთ თუ არა განისაზღვროს ფასის კლების მინიმალური ბიჯი დიახ ბიჯი 500 თეთრი

ტენდერში წინადადებების მიღების დაწყების თარიღი 10/17/2017 საათი 11:00

წინადადებების მიღების დასრულების / აუქციონის დაწყების თარიღი 11/3/2017 საათი 17:00

მომსახურების გაწევის/სამუშაოების ჩატარების/მიწოდების ადგილი ქუთაისი

8. რეალიზაციის ტიპები და გამოცხადების ინსტრუქცია

Etenders.ge -ზე რეალიზაციის ტენდერის გამოცხადება შეუძლია ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიულ და ფიზიკურ პირს. რეალიზაციის ტენდერის გამოსაცხადებლად პირველრიგში უნდა გაიაროს [ავტორიზაცია ვებ-საიტზე](#), რის შემდეგაც უნდა დააჭიროთ „გაყიდვის გამოცხადება“ ტექსტურ ლილავს, რომელიც განთავსებულია ვებ-საიტის მთავარ გვერდზე (იხ. სურათი №49); ან, ვებ-საიტის მთავარ მენიუში შემდეგი თანმიმდევრობით უნდა დააჭიროთ: „ჩვენი სერვისები“, „გაყიდვების ელექტრონული სისტემა“ და „გაყიდვის გამოცხადება“ ლილავებს (იხ. სურათი №50).

[სურათი №49](#)



გაყიდვები
BE SMART IN SALES

ყველა განცხადება რეალიზაციაზე

გაყიდვის გამოცხადება



უპირატესობები

გაყიდვების სისტემის ინსტრუქციები

ჩემი რჩეული გაყიდვები

ჩემი გამოცხადებული გაყიდვები

მონაწილეობა მაქვს მიღებული

სურათი №50



გამოცხადების ღილაკზე დაჭერის შედეგად ეკრანზე გამოვა სურათი №51-ის მსგავსი ფანჯარა, საიდანაც თქვენ უნდა აირჩიოთ არსებული სამი რეალიზაციის საშუალებიდან ერთ-ერთი.

სურათი №51

გაყიდვის გამოცხადება

- განცხადება რეალიზაციაზე ? გაყიდვების აუქციონი ? რეალიზაცია აუქციონის გარეშე ?

8.1 განცხადება რეალიზაციაზე

რეალიზატორი კომპანიების მიერ „განცხადება რეალიზაციაზე“ გამოცხადება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მათ არ უნდათ, წინადადებები მიიღონ ელექტრონულად, Etenders.ge-ს მეშვეობით. როგორც წესი, ასეთი ტიპის რეალიზაციებში რეალიზატორები თავად ირჩევენ თუ რა ფორმით/გზით უნდა წარადგინონ წინადადებები მათ მიერ სარეალიზაციოთ გამოტანილი საქონლის პოტენციურმა მყიდველებმა. მაგალითად, ელ. ფოსტით ან დალუქული კონვერტების წარდგენით ფიზიკურ მისამართზე.

რეალიზაციის გამოსაცხადებლად, უნდა აირჩიოთ შესაბამისი ტენდერის ტიპი - „განცხადება რეალიზაციაზე“, რის შედეგადაც ეკრანზე გამოვა გვერდი (იხ. სურათი №52) შემდეგი შესავსები ველებით:

სურათი №52

გაყიდვის გამოცხადება

განცხადება რეალიზაციაზე რეალიზაციის აუქციონი რეალიზაცია აუქციონის გარეშე

სარეალიზაციო ობიექტი

CPV

CPV Select	
<input type="checkbox"/> CPV	დასახელება
<input type="checkbox"/>	
<input type="checkbox"/> 42400000	ამწე და გადასაზიდი მოწყობილობები და მათი ნაწილები
<input checked="" type="checkbox"/> 42500000	გამაგრებელი და სავენტილაციო მოწყობილობები
<input type="checkbox"/> 42600000	ჩარხები
<input type="checkbox"/> 42700000	ქსოვილების, ტანსაცმლისა და ტყავის წარმოების მანქანა დანადგარები
<input type="checkbox"/> 42800000	ქაღალდის ან მუყაოს საწარმოებელი მანქანა დანადგარები
<input type="checkbox"/> 42900000	სხვადასხვა ზოგადი და სპეციალური დანიშნულების მანქანა დანადგარები
<input type="checkbox"/> 43100000	სამთო მანქანა დანადგარები

გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ საწყისი ღირებულება? კი

საწყისი ღირებულება თეთრი ლარი

განცხადების დასრულების თარიღი საათი

სარეალიზაციო ობიექტის მიწოდების ადგილი

- **სარეალიზაციო ობიექტი** - აღნიშნულ ველში წერთ გასაყიდი ობიექტის დასახელებას;
- **„CPV“** - ირჩევთ გასაყიდი ობიექტის შესაბამის CPV კოდ(ებ)ს. შედეგად, ტენდერის გამოცხადებისთანავე, მიმწოდებლებს, რომლებიც ოპერირებენ თქვენს მიერ არჩეული CPV კოდების შესაბამის სფეროში მიუვათ ავტომატური შეტყობინებები თქვენი განაცხადის გამოცხადების შესახებ;
- **„გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ საწყისი ღირებულება?“** - მოსანიშნი ღილაკით თქვენ ირჩევთ გსურთ თუ არა, რომ ტენდერში მიუთითოთ გასაყიდი ობიექტის მინიმალური ღირებულება;
- **„განცხადების დასრულების თარიღი“** და **„საათი“**;
- **„მომსახურების გაწევის/სამუშაოების ჩატარების/მიწოდების ადგილი“** - აღნიშნულ ველში უთითებთ ადგილს სადაც მოხდება გასაყიდი ობიექტის გადაცემა მყიდველზე.

ყველა ველის შევსების შემდეგ სისტემაში ტვირთავთ დოკუმენტაციას და სხვა საჭირო ფაილებს (ფაილების ატვირთვა სავალდებულო არ არის). ასევე, შესაძლებელია განცხადებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის მითითება დამატებითი ინფორმაციის სახით (იხ. სურათი №53).

სურათი №53

თანდართული დოკუმენტაცია

აქტირებული ფაილის სახელი აღწერა თარიღი


ახალი ფაილის აქტირება

დამატებითი ინფორმაცია

გამოცხადება

მას შემდეგ რაც დაასრულებთ განაცხადის შევსებას უნდა დააჭიროთ „გამოცხადება“ ლილავს. შემდგომ სისტემის მეშვეობით ან ინვოისით იხდით განცხადების გამოცხადების საფასურს (საფასურის ინვოისით გადასახდელად გთხოვთ, წინასწარ დაუკავშირდეთ ვებ-საიტის ადმინისტრაციას); განცხადება ავტომატურად აიტვირთება ვებ-საიტზე და მიენიჭება სტატუსი „გამოცხადებულია“ (მაგ. იხილეთ №54 სურათზე).

სურათი №54



Etenders.ge

მეორადი კომპიუტერები და მათი აქსესუარები

10000.00

გამოცხადების თარიღი: 15/10/2017
დასრულების თარიღი: 03/11/2017
სტატუსი: გამოცხადებულია

43043

8.2 რეალიზაციის აუქციონი

რეალიზაციის აუქციონის გამოსაცხადებლად უნდა დააჭიროთ შესაბამის ლილავს რეალიზაციის ტიპების მენიუდან (იხ. სურათი №55).

სურათი №55

გაყიდვის გამოცხადება

- განცხადება რეალიზაციაზე რეალიზაციის აუქციონი რეალიზაცია აუქციონის გარეშე

ლილაკზე დაჭერით გადახვალთ გამოცხადების გვერდზე (იხ. სურათი №56), შემდეგი შესავსები ველებით:

სურათი №56

სარეალიზაციო ობიექტი

CPV CPV Select

<input type="checkbox"/> CPV	დასახელება
<input type="checkbox"/> 32500000	სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები და აქსესუარები
<input type="checkbox"/> 33100000	სამედიცინო მოწყობილობები
<input type="checkbox"/> 33600000	ფარმაცევტული პროდუქტები
<input type="checkbox"/> 33700000	პირადი ჰიგიენის საშუალებები
<input type="checkbox"/> 33900000	აუტოფსისა და მორგისთვის საჭირო მოწყობილობები და აქსესუარები
<input type="checkbox"/> 34100000	ავტოსატრანსპორტო საშუალებები
<input type="checkbox"/> 34200000	სატრანსპორტო საშუალებების ძარბი, მისამბელები ან ნახევრადმისამბელები

ღია პროცედურა შეზღუდული პროცედურა

გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ საწყისი ღირებულება? კი

საწყისი ღირებულება თეთრი ლარი

ანონიმური განაცხადი?

გსურთ თუ არა, რომ რეალიზაციის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა დაინახონ ერთმანეთის ვინაობები?

გსურთ თუ არა განისაზღვროს ფასის მატების მინიმალური პიჯი დიახ ბიჯი თეთრი

წინადადებების მიღების დაწყების თარიღი საათი

წინადადებების მიღების დასრულების / აუქციონის დაწყების თარიღი საათი

სარეალიზაციო ობიექტის მიწოდების ადგილი


- **სარეალიზაციო ობიექტი** - აღნიშნულ ველში წერთ გასაყიდი ობიექტის დასახელებას;
- **„CPV“** - ირჩევთ გასაყიდი ობიექტის შესაბამის CPV კოდ(ებ)ს. შედეგად, აუქციონის გამოცხადებისთანავე, მიმწოდებლებს, რომლებიც ოპერირებენ თქვენს მიერ არჩეული CPV კოდების შესაბამის სფეროში მიუვათ ავტომატური შეტყობინებები თქვენი განაცხადის გამოცხადების შესახებ;
- **„ღია პროცედურა“ / „შეზღუდული პროცედურა“** - ღია პროცედურა ნიშნავს აუქციონის პროცედურას, რომელშიც წინადადების წარდგენა შეუძლია სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ მიმწოდებელს. შეზღუდული პროცედურის შემთხვევაში განაცხადების დოკუმენტაციის ხილვა და წინადადების წარდგენა შეუძლიათ

სისტემაში რეგისტრირებულ მხოლოდ იმ მიმწოდებლებს, რომლებსაც რეალიზატორის მიერ აქვთ მინიჭებული მონაწილეობის უფლება;

- **„გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ საწყისი ღირებულება?“** - მოსანიშნი ღილაკით თქვენ ირჩევთ გსურთ თუ არა, რომ აუქციონში განსაზღვროთ გასაყიდი ობიექტის მინიმალური ღირებულება. ოპციის გააქტიურების შედეგად პრეტენდენტები ვერ შეძლებენ თქვენს მიერ განსაზღვრულ საწყის ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის თანხის შემოთავაზებას;
- **„ანონიმური განაცხადი“** - ანონიმური განაცხადის არჩევის შემთხვევაში, რეალიზატორის ვინაობის ხილვას შეძლებენ მხოლოდ ის მომხმარებლები, რომლებმაც წინადადება წარადგინეს აუქციონში, მას მერე, რაც დასრულდება აუქციონი;
- **„გსურთ თუ არა, რომ რეალიზაციის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა დაინახონ ერთმანეთის ვინაობები?“** - მოსანიშნი ღილაკით ირჩევთ გსურთ, თუ არა, რომ აუქციონის დასრულების შემდგომ მონაწილეებმა იხილონ ერთმანეთის ვინაობები;
- **„გსურთ თუ არა განისაზღვროს ფასის მატების მინიმალური ბიჯი“** - ამ ველში თქვენ შეგიძლიათ მიუთითოთ აუქციონში ფასის მატების მინიმალური ბიჯი. იმ შემთხვევაში, თუ მიუთითებთ გაქვთ ფასის მატების ბიჯი, მაშინ სისტემა პრეტენდენტს მისცემს საშუალებას დაამატოს მის აქტუალურ ფასს არანაკლებ ერთი ბიჯის ოდენობის თანხა;
- **„წინადადებების მიღების დაწყების თარიღი“** - აღნიშნული ველის გასწვრივ განთავსებული კალენდრის მეშვეობით ირჩევთ წინადადებების მიღების დაწყების დროს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ არ შეგეძლებათ შეცვალოთ დოკუმენტაცია და სხვა დეტალები მას შემდეგ რაც დაიწყება წინადადებების მიღება (ტენდერს მიენიჭება სტატუსი - „წინადადებების მიღება დაწყებულია“);
- **„წინადადებების მიღების დასრულების / აუქციონის დაწყების თარიღი“** - ველში უთითებთ იმ თარიღსა და დროს, როდესაც გინდათ, რომ დასრულდეს წინადადებების მიღება და დაიწყოს აუქციონი. აუქციონი იწყება წინადადებების მიღების ვადის ამოწურვისთანავე. აუქციონის მიმდინარეობის დრო სტანდარტულად შეადგენს 15 წუთს. აღნიშნული დროის ფარგლებში იმართება მონაწილეთა შორის ელექტრონული ვაჭრობა, რაც გულისხმობს მათ მიერ ფასების ზრდას აუქციონის სხვა მონაწილეების მიერ წარდგენილი ფასების გათვალისწინებით; ფასების ზრდის რაოდენობები შეზღუდული არ არის. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონის მსვლელობის უკანასკნელი ორი წუთის განმავლობაში ერთ-ერთი მონაწილე დააფიქსირებს გაზრდილ ფასს, რომლითაც ის გადაასწრებს ან გაუტოლდება სხვა მონაწილის მიერ დაფიქსირებულ ფასს, აუქციონის დროის მრიცხველი უბრუნდება ისევ მეორე უკანასკნელ წუთს (მაგალითად, აუქციონი სრულდება 27 წამში, ერთ-ერთმა მონაწილემ გაზარდა ფასი 10.000 ლარიდან 10.500 ლარამდე და ამით გადაასწრო ან გაუტოლდა სხვა მონაწილე(ებ)ს, აუქციონის მიმდინარეობის ხანგრძლივობა იზრდება და წამების კლება იწყება მე-2 წუთიდან). ყოველივე ზემოაღნიშნული გამორიცხავს მონაწილის მხრიდან ფასის დაფიქსირებისათვის ვაჭრობის ეტაპის ბოლო წამის მოლოდინს. რეალიზატორ ორგანიზაციას საშუალება ეძლევა თვალი ადევნოს ვაჭრობის პროცესის მსვლელობას ონლაინ რეჟიმში. აუქციონის დასრულების შემდეგ ტენდერს მიენიჭება სტატუსი „დასრულებულია“ და თქვენ შეგეძლებათ შეაფასოთ შემოთავაზებული წინადადებები;
- **„სარეალიზაციო ობიექტის მიწოდების ადგილი“** - აღნიშნულ ველში უთითებთ ადგილს სადაც მოხდება გასაყიდი ობიექტის გადაცემა მყიდველზე.

ყველა ველის შევსების შემდეგ სისტემაში ტვირთავთ აუქციონის დოკუმენტაციას და სხვა საჭირო ფაილებს (არსებობის შემთხვევაში). ასევე, შესაძლებელია აუქციონთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის მითითება დამატებითი ინფორმაციის სახით (იხ. სურათი №57).

სურათი №57



გამოცხადება

მას შემდეგ რაც დაასრულებთ განაცხადის შევსებას უნდა დააჭიროთ „გამოცხადება“ ღილაკს. შემდგომ სისტემის მეშვეობით ან ინვოისით იხდით გამოცხადების საფასურს (საფასურის ინვოისით გადასახდელად, გთხოვთ წინასწარ დაუკავშირდეთ ვებ-საიტის ადმინისტრაციას); აუქციონი ავტომატურად აიტვირთება ვებ-საიტზე და მიენიჭება სტატუსი „გამოცხადებულია“ (მაგ. იხილეთ №58 სურათზე).

სურათი №58



8.3 რეალიზაცია აუქციონის გარეშე

რეალიზაცია აუქციონის გარეშე გულისხმობს პრეტენდენტთა მხრიდან წინადადებების ელექტრონულად წარდგენას etenders.ge-ს საშუალებით. გამოსაცხადებლად უნდა დააჭიროთ შესაბამის ღილაკს რეალიზაციის ტიპების მენიუდან (იხ. სურათი №58).

სურათი №58

გაყიდვის გამოცხადება

- განცხადება რეალიზაციაზე ?
- რეალიზაციის აუქციონი ?
- რეალიზაცია აუქციონის გარეშე ?

ღილაკზე დაჭერით გადახვალთ გამოცხადების გვერდზე (იხ. სურათი №59), შემდეგი შესავსები ველებით:

სურათი №59

სარეალიზაციო ობიექტი

CPV CPV Select

<input type="checkbox"/>	CPV	დასახელება
<input type="checkbox"/>	38900000	შეფასებისა და ტესტირების სხვადასხვა სახის ხელსაწყოები
<input checked="" type="checkbox"/>	39100000	ავეჯი
<input type="checkbox"/>	39200000	ავეჯის აქსესუარები
<input type="checkbox"/>	39300000	სხვადასხვა სახის მოწყობილობები
<input type="checkbox"/>	39500000	ქსოვილის ნივთები
<input type="checkbox"/>	39700000	საოჯახო ტექნიკა
<input type="checkbox"/>	39800000	საწმინდი და საპრიალელო პროდუქცია

- ღია პროცედურა ?
- შეზღუდული პროცედურა ?

გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ საწყისი ღირებულება? კი

საწყისი ღირებულება თეთრი

ანონიმური განაცხადი?

გსურთ თუ არა, რომ რეალიზაციის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა დაინახონ ერთმანეთის ვინაობები?

წინადადებების მიღების დაწყების თარიღი საათი

წინადადებების მიღების დასრულების თარიღი საათი

სარეალიზაციო ობიექტის მიწოდების ადგილი

- **სარეალიზაციო ობიექტი** - აღნიშნულ ველში წერთ გასაყიდი ობიექტის დასახელებას;
- **„CPV“** - ირჩევთ გასაყიდი ობიექტის შესაბამის CPV კოდ(ებ)ს. შედეგად, განცხადების გამოცხადებისთანავე, სისტემის მომხმარებლებს, რომლებიც ოპერირებენ თქვენს მიერ არჩეული CPV კოდების შესაბამის სფეროში მიუვათ ავტომატური შეტყობინებები თქვენი განაცხადის გამოცხადების შესახებ;
- **„ღია პროცედურა“ / „შეზღუდული პროცედურა“** - ღია პროცედურის შემთხვევაში წინადადების წარდგენა შეუძლია სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ მომხმარებელს. შეზღუდული პროცედურის შემთხვევაში განცხადების დოკუმენტაციის ხილვა და წინადადების წარდგენა შეუძლიათ სისტემაში რეგისტრირებულ მხოლოდ იმ მომხმარებლებს, რომლებსაც რეალიზატორის მიერ აქვთ მინიჭებული მონაწილეობის უფლება;
- **„გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ საწყისი ღირებულება?“** - მოსანიშნი ღილაკით თქვენ ირჩევთ გსურთ თუ არა, რომ განცხადებაში დააფიქსიროთ გასაყიდი ობიექტის მინიმალური გასაყიდი ღირებულება;
- **„ანონიმური განაცხადი“** - ანონიმური განაცხადის არჩევის შემთხვევაში, რეალიზატორის ვინაობის ხილვას შეძლებენ სისტემის მხოლოდ ის მომხმარებლები, რომლებმაც წინადადება წარადგინეს აუქციონში, მას მერე, რაც დასრულდება აუქციონი;
- **„გსურთ თუ არა, რომ რეალიზაციის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა დაინახონ ერთმანეთის ვინაობები?“** - მოსანიშნი ღილაკით ირჩევთ გსურთ, თუ არა, რომ რეალიზაციის დასრულების შემდგომ მონაწილეებმა იხილონ ერთმანეთის ვინაობები;
- **„წინადადებების მიღების დაწყების თარიღი“** - აღნიშნული ველის გასწვრივ განთავსებული კალენდრის მეშვეობით ირჩევთ წინადადებების მიღების დაწყების დროს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ არ შეგეძლება შეცვალოთ დოკუმენტაცია და სხვა დეტალები მას შემდეგ რაც დაიწყება წინადადებების მიღება;
- **„წინადადებების მიღების დასრულების“** - ველში უთითებთ იმ თარიღსა და დროს, როდესაც გსურთ, რომ დასრულდეს წინადადებების მიღება. წინადადებების მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ რეალიზაციას მიენიჭება სტატუსი „დასრულებულია“ და თქვენ შეგეძლება იხილოთ და შეაფასოთ შემოთავაზებული წინადადებები;
- **„სარეალიზაციო ობიექტის მიწოდების ადგილი“** - აღნიშნულ ველში უთითებთ ადგილს სადაც მოხდება გასაყიდი ობიექტის გადაცემა მყიდველზე.

ყველა ველის შევსების შემდეგ სისტემაში ტვირთავთ დოკუმენტაციას და სხვა საჭირო ფაილებს (არსებობის შემთხვევაში). ასევე, შესაძლებელია სარეალიზაციო ობიექტთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის მითითება დამატებითი ინფორმაციის სახით (იხ. სურათი №60).

სურათი №60

თანდართული დოკუმენტაცია

აქტირებული ფაილის სახელი აღწერა თარიღი

ახალი ფაილის აქტირება

დამატებითი ინფორმაცია

გამოცხადება

მას შემდეგ რაც დაასრულებთ განაცხადის შევსებას უნდა დააჭიროთ „გამოცხადება“ ლილავს. შემდგომ სისტემის მეშვეობით ან ინვოისით იხდით გამოცხადების საფასურს (საფასურის ინვოისით გადასახდელად გთხოვთ, წინასწარ დაუკავშირდეთ ვებ-საიტის ადმინისტრაციას); რეალიზაციის შესახებ განაცხადი ავტომატურად აქტირდება ვებ-საიტზე და მიენიჭება სტატუსი „გამოცხადებულია“ (მაგ. იხილეთ 61-ე სურათზე).

სურათი №61



Etenders.ge

მეორადი კომპიუტერები და მათი აქსესუარები

10000.00

გამოცხადების თარიღი: 15/10/2017
დასრულების თარიღი: 03/11/2017
სტატუსი: გამოცხადებულია

43043



8.4 შეზღუდული პროცედურა

შეზღუდული პროცედურის ტიპის რეალიზაცია ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი ტიპის განცხადება იტვირთება ვებ-საიტზე და განაცხადის ხილვა შეუძლია ვებ-საიტის ნებისმიერ მომხმარებელს (იხ. სურათი №62); თუმცა, დოკუმენტაციისა და რეალიზაციის დეტალების ნახვა, ასევე, წინადადების წარდგენა შეუძლიათ მხოლოდ იმ პოტენციურ მყიდველებს, რომლებსაც რეალიზატორი კომპანიის მიერ აქვთ მინიჭებული მონაწილეობის უფლება კონკრეტულ რეალიზაციაზე.

იმისათვის, რომ პოტენციურ მყიდველს მიანიჭოთ შეზღუდულ პროცედურაში მონაწილეობის მიღების უფლება, თქვენ უნდა მოიძიოთ და მონიშნოთ მყიდველ(ებ)ი ჩვენი ვებ-საიტის მომხმარებელთა ბაზიდან (პოტენციური მყიდველი რეგისტრირებული უნდა იყოს etenders.ge-ს მომხმარებელთა ბაზაში). მომხმარებელთა მოძიება ბაზაში ხორციელდება სპეციალური საძებნი ველებით (იხ. სურათი №64); სახელით, საიდენტიფიკაციო კოდით, ან ელექტრონული ფოსტის მისამართით.

სურათი №64

ღია პროცედურა ?
 შეზღუდული პროცედურა ?

კომპანია	ID ნომერი	ელ-ფოსტა
Etenders.ge	405075047	levan@etenders.ge

მომხმარებლის მოძიების შემდეგ, უნდა დააკლიკოთ მის დასახელებაზე, რის შედეგადაც მომხმარებელს მიენიჭება მონაწილეობის უფლება და დაემატება რეალიზაციაში დაშვებულ მონაწილეთა სიაში. თუ, მონაწილე შეცდომით იქნა მონიშნული შეგიძლიათ მისი წაშლა სიიდან, „წაშლა“ ლილაკის დახმარებით (იხ. სურათი №65).

სურათი №65

ღია პროცედურა ?
 შეზღუდული პროცედურა ?

კომპანია	ID ნომერი	ელ-ფოსტა	
Etenders.ge	405075047	levan@etenders.ge	წაშლა

8.5 ანონიმური განაცხადი

„ანონიმური განაცხადის“ არჩევის შემთხვევაში, რეალიზატორის ვინაობის ხილვას შეძლებენ სისტემის მხოლოდ ის მომხმარებლები, რომლებმაც წინადადება წარადგინეს რეალიზაციაში, მას მერე, რაც დასრულდება რეალიზაცია.

„ანონიმური განაცხადის“ გააქტიურება შესაძლებელია „გაყიდვების აუქციონის“ და „რეალიზაციის აუქციონის გარეშე“ გამოცხადებისას. აღნიშნული ოპციის არჩევა

ხორციელდება გამოცხადების გვერდიდან, შესაბამისი ფუნქციის მონიშვნით (იხ. სურათი №66).

სურათი №66

სარეალიზაციო ობიექტი

CPV

<input type="checkbox"/>	CPV	დასახელება
<input type="checkbox"/>	38400000	ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყოები
<input type="checkbox"/>	38500000	საკონტროლო და გამოსაცდელი აპარატურა
<input type="checkbox"/>	38600000	ოპტიკური ხელსაწყოები
<input type="checkbox"/>	38700000	ტაიმერები და მსგავსი მოწყობილობები; პარკინგის აპარატები/საათები
<input type="checkbox"/>	38800000	საწარმოო პროცესებისა და დისტანციური მართვის მოწყობილობები
<input type="checkbox"/>	38900000	შეფასებისა და ტესტირების სხვადასხვა სახის ხელსაწყოები
<input checked="" type="checkbox"/>	39100000	ავეჯი
<input type="checkbox"/>	39200000	ავეჯის აქსესუარები

ღია პროცედურა შეზღუდული პროცედურა

გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ საწყისი ღირებულება? კი

საწყისი ღირებულება დ.დ.გ.-ს გარეშე

ანონიმური განაცხადი?

წინადადებების მიღების დაწყების თარიღი საათი

წინადადებების მიღების დასრულების თარიღი საათი

მომსახურების გაწვევის/სამუშაოების ჩატარების/მიწოდების ადგილი

9. გამოცხადებული შესყიდვის და რეალიზაციის რედაქტირება

მას შემდეგ, რაც შემსყიდველი/რეალიზატორი კომპანია გამოაცხადებს ტენდერს ან რეალიზაციას, მას აქვს განცხადების რედაქტირების საშუალება. რედაქტირებას ექვემდებარება განცხადებაში მოცემული ყველა ველი/ინფორმაცია (მიმდინარეობის ვადები, შესყიდვის ობიექტი, მიწოდების ადგილი, შესყიდვის/რეალიზაციის ობიექტის ღირებულება, პროცედურის ტიპი ღია/შეზღუდული, სატენდერო დოკუმენტაციის ფაილები და ა.შ), გარდა ორი გამონაკლისისა. კერძოდ, შემსყიდველ/რეალიზატორ კომპანიას არ შეუძლია განცხადების გამოცხადების შემდგომ შეცვალოს შესყიდვის/რეალიზაციის საშუალება

(მაგალითად, შეუძლებელია 1 კონვერტის პრინციპის შესყიდვის გადაკეთება რევერსულ აუქციონად) ან განცხადება გახადოს ანონიმური.

ელექტრონული შესყიდვებისა და რეალიზაციების (ელექტრონულ შესყიდვის საშუალებებს განეკუთვნება: „რევერსული აუქციონი“, „1 კონვერტის პრინციპი“, „2 კონვერტის პრინციპი“ და „პრეკვალიფიკაცია“; რეალიზაციის ელექტრონულ საშუალებებს განეკუთვნება: „რეალიზაციის აუქციონი“ და „რეალიზაცია აუქციონის გარეშე“) რედაქტირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შესყიდვის/რეალიზაციის სტატუსი არის „გამოცხადებულია“. რედაქტირება შეუძლებელი ხდება, მას შემდეგ, რაც დაიწყება წინადადებების მიღება. ელექტრონული შესყიდვისა და ელექტრონული რეალიზაციის საშუალებებისგან განსხვავებით „განცხადების“ სახით გამოცხადებული შესყიდვისა და რეალიზაციის ცვლილება შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ვიდრე ამოიწურება განცხადების მოქმედების ვადა. რედაქტირებების რაოდენობა არ არის შეზღუდული და ამასთან, მათი განხორციელება უფასოა.

იმისათვის, რომ განახორციელოთ გამოცხადებული შესყიდვის/რეალიზაციის რედაქტირება უნდა შეხვიდეთ განცხადებაში და დააჭიროთ „რედაქტირება“ ლილაკს (იხ. სურათი №67).

სურათი №67

განცხადების ნომერი : 43053 ნახვევის რაოდენობა : 1

სტატუსი : გამოცხადებულია

წინადადებათა მიღების დაწყებად დარჩა:

დღე	საათი	წუთი	წამი
00	00	23	32

ბიჯეტის ტიპი : რევერსული აუქციონი

გამოცხადების თარიღი : 21/10/2017 13:16

წინადადებათა მიღების დაწყება : 21/10/2017 14:00


წინადადებათა მიღების დასრულება/ვაჭრობის დაწყება : 21/10/2017 15:00

პრობლემატობა წინადადება უნდა წარმოადგინონ : დ.ღ.გ.-ს გარეშე ლარში

მაქსიმალური ღირებულება : 10000.00 ლარი დ.ღ.გ.-ს გარეშე


მომსახურების ადგილი : თბილისი

რედაქტირება **უწყვეტა**



Etenders.ge Etenders.ge

წიგნები

CPV : [22100000](#): ნაპოვნი წიგნები, ბროშურები და საინფორმაციო ფურცლები

„რედაქტირება“ ლილაკზე დაჭერის შედეგად შეხვალთ განცხადების დეტალებში. ცვლილებების შეტანის შემდეგ, იმისათვის, რომ სისტემამ დაიმსხვროს განხორციელებული ცვლილებები, უნდა დააჭიროთ „ტენდერის ცვლილება“ ლილაკს, რომელიც განთავსებულია განცხადების დეტალების გვერდის ქვედა მარცხენა კუთხეში (იხ. სურათი №68).

სურათი №68

გსურთ თუ არა, რომ პრეტენდენტებმა დაინახონ მაქსიმალური ღირებულება? კი

მაქსიმალური ღირებულება დ.დ.გ.-ს გარეშე

გსურთ თუ არა განისაზღვროს ფასის კლების მინიმალური ბიჯი დიახ ბიჯი

ტენდერში წინადადებების მიღების დაწყების თარიღი საათი

წინადადებების მიღების დასრულების თარიღი საათი

მომსახურების გაწევის/სამუშაოების ჩატარების/მიწოდების ადგილი


ფაილები:

ფაილის სახელი	აღწერა	თარიღი	შეცვლა	წაშლა
დოკუმენტაცია.docx	<input type="text"/>	21/10/2017	<input type="button" value="შეცვლა"/>	<input type="button" value="წაშლა"/>

ახალი ფაილის ატვირთვა

დამატებითი ინფორმაცია

Tahoma **B** *I* U **A⁺** **A⁻** **A** **ab**

მას შემდეგ, რაც განახორციელებთ ცვლილებებს, თქვენს განცხადებას სისტემაში მიენიჭება ცვლილების სიმბოლო -  (იხ. სურათი №69).

სურათი №69



Etenders.ge
წიგნები
 10000.00
გამოსხადების თარიღი: 21/10/2017
დასრულების თარიღი: 21/10/2017
სტატუსი: გამოსხადებულია

43053





10. გამოცხადებული შესყიდვის და რეალიზაციის შეწყვეტა

საჭიროების შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ თქვენს მიერ გამოცხადებული შესყიდვის/რეალიზაციის შეწყვეტა. ელექტრონული შესყიდვებისა და რეალიზაციების (ელექტრონულ შესყიდვის საშუალებებს განეკუთვნება: „რევერსული აუქციონი“, „1 კონვერტის პრინციპი“, „2 კონვერტის პრინციპი“ და „პრეკვალიფიკაცია“; რეალიზაციის ელექტრონულ საშუალებებს განეკუთვნება: „რეალიზაციის აუქციონი“ და „რეალიზაცია აუქციონის გარეშე“) შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შესყიდვის/რეალიზაციის სტატუსი არის „გამოცხადებულია“. შეწყვეტა შეუძლებელი ხდება, მას შემდეგ, რაც დაიწყება წინადადებების მიღება. ელექტრონული შესყიდვისა და ელექტრონული რეალიზაციის საშუალებებისგან განსხვავებით „განცხადების“ სახით გამოცხადებული შესყიდვისა და რეალიზაციის შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ვიდრე ამოიწურება განცხადების მოქმედების ვადა.

იმისათვის, რომ შეწყვიტოთ გამოცხადებული შესყიდვა ან რეალიზაცია უნდა შეხვიდეთ განცხადების დეტალებში და დააჭიროთ ღილაკს - „შეწყვეტა“ (იხ. სურათი №70).

სურათი №70

განცხადების ნომერი : 43043

ნახვის რაოდენობა : 5



სტატუსი : გამოცხადებულია	რეალიზაციის საშუალება : განცხადება რეალიზაციაზე
განცხადების დასრულებამდე დარჩა:	განცხადების თარიღი: 15/10/2017 20:47
დღი საათი წუთი წამი	წინადადებების მიღების დასრულება : 03/11/2017 17:00
13:02:49:04	პრეკვალიფიკაცია წინადადება უნდა წარმოადგინონ : დ.ღ.გ.-ს გარეშე ლარში
	საწყისი ღირებულება : 10000.00 ლარი დ.ღ.გ.-ს გარეშე
	მომსახურების ადგილი : თბილისი

რედაქტირება შეწყვეტა



Etenders.ge

შეწყვეტის შედეგად, განაცხადს სისტემის მიერ, ავტომატურად მიენიჭება სტატუსი - „შეწყვეტილია“ (განაცხადი არ იშლება ვებ-საიტოდან).

11. მონაწილეობის მიღება ელექტრონულ ტენდერში

ელექტრონული შესყიდვების ტენდერებში (ელექტრონულ შესყიდვის საშუალებებს განეკუთვნება: „რევერსული აუქციონი“, „1 კონვერტის პრინციპი“, „2 კონვერტის პრინციპი“ და „პრეკვალიფიკაცია“) სატენდერო წინადადების წარდგენა შესაძლებელია, როდესაც ტენდერის სტატუსია „წინადადებების მიღება დაწყებულია“. განცხადების ტიპის ტენდერში

სატენდერო წინადადების წარდგენის პერიოდი არ არის დამოკიდებული განცხადების მიმდინარეობის სტატუსზე; განცხადების ტიპის ტენდერებში, შემსყიდველი კომპანიები, სატენდერო წინადადებების მიღების თარიღსა და ფორმას, როგორც წესი, უთითებენ ტენდერის დამატებითი ინფორმაციის ველში ან უშუალოდ სატენდერო დოკუმენტაციებში.

11.1 სატენდერო წინადადების წარდგენის საფასურის გადახდა

ნებისმიერი ტიპის ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური შეადგენს 50 ლარს, რომლის გადახდა შესაძლებელია ვებ-საიტში ჩაშენებული ბანკის გადახდების სისტემის მეშვეობით, ნებისმიერი ტიპის ბარათის გამოყენებით ან ინვოისით (საფასურის ინვოისით გადასახდელად, გთხოვთ, წინასწარ დაუკავშირდეთ ვებ-საიტის ადმინისტრაციას).

სატენდერო წინადადების წარდგენის საფასურის გადახდისათვის პირველ რიგში, უნდა გაიაროთ სისტემაში ავტორიზაცია, თქვენი ელ. ფოსტისა და კოდის გამოყენებით. ავტორიზაციის გავლის შემდეგ უნდა შეხვიდეთ შესაბამის ტენდერში და დააჭიროთ „მონაწილეობის მიღება“ ლილაკს (იხ. სურათი №71), რის შემდეგაც სისტემა გადაგიყვანთ ელექტრონული საბანკო გადახდების გვერდზე.

სურათი №71

ბანკსადადების ნომერი : 43054 ნახვების რაოდენობა : 1

სტატუსი : წინადადების მიღება დაწყებული

წინადადების მიღების დასრულებამდე დარჩა:

ღმ	საათი	წთ	წამი
00	:00	:56	:34

ბანკის მონაცემები

ბანკის მონაცემების თარიღი: 21/10/2017 16:50
 წინადადების მიღების დაწყება: 21/10/2017 17:00
 წინადადების მიღების დასრულება/ვაჭრობის დაწყება : 21/10/2017 18:00
 პრეტენდენტებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ : დ.ღ.გ.-ს ბარათზე ლარში
 მაქსიმალური ღირებულება : 100000.00 ლარი დ.ღ.გ.-ს ბარათზე
 მომსახურების ადგილი : თბილისი

მონაწილეობის მიღება

